დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„მევენახეობა და მეღვინეობა“

მაგისტრატურა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

19-20.09.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი

03.10.2022

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 11
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 11
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 18
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 23
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 27
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 34

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	231187168

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**გიორგი ჯაფოშვილი** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, (პროფესორი), საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**მარიამ ხომასურიძე** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, (პროფესორი), საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**თამარ გვიანიშვილი** შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**გიორგი არქანია** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (დოქტორანტი), საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	მევენახეობა და მეღვინეობა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Viticulture and Enology
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა (II საფეხური)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	მევენახეობისა და მეღვინეობის მაგისტრი Master of Viticulture and Enology
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0888.1.1 მევენახეობა და მეღვინეობა Viticulture and Enology
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	არააკრედიტებული (ავტორიზებული, გადაწყვეტილება №72, 24.09.2018
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მევენახეობა და მეღვინეობა“ (შემდგომში - პროგრამა) შემუშავებულია სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი ან უსდ) აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. პროგრამის მიზანია მოამზადოს და შრომის ბაზარს მიაწოდოს კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრი. მაგისტრანტმა უნდა შეისწავლოს ვენახის ნიადაგის გენეზისი, მისი ფიზიკო-ქიმიური თვისებები და შეძლოს ვენახის (მათ შორის ბიოვენახის) გაშენება, დანერგოს ბიოყურძნის მოყვანის დროს ნიადაგის დამუშავების ახალი თანამედროვე მეთოდები, განმარტოს ბიოწარმოების განვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემები. გამოიმუშავოს კვლევითი ნაშრომების შექმნის უნარ-ჩვევები, მოიძიოს საკვლევი პრობლემის გადაჭრის გზები, შეძლოს აღნიშნული დარგის უცხოელ სპეციალისტებთან შესაბამისი ტერმინოლოგიის მიხედვით მოპოვებული ქართული და ინგლისურენოვანი ლიტერატურის გამოყენება. კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს ჩამოაყალიბოს აზრები მსოფლიოს მევენახეობა-მეღვინეობის რაიონების შესახებ, როგორიცაა მრავალსაუკუნოვანი მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიის მქონე ევროპის ქვეყნები და გამოიყენებს მათ გამოცდილებას, ამავე დროს კომბინირება გაუკეთოს წარმოების იმ ტექნოლოგიურ პროცესებს, რომელიც დამახასიათებელია ყველა სახის (მათ შორის სპეციალური და უნიკალური, ძველი, ქართული, ტრადიციული ღვინის დაყენების ტექნოლოგია ქვევრში) ღვინოების წარმოებისათვის. განსაზღვრავს ალკოჰოლური დუღილის პროცესის სწორად წარმართვის და ხარისხოვანი ღვინომასალების მიღების ტექნოლოგიურ ციკლში მონაწილე მიკროორგანიზმებს, მათი მოქმედების პრინციპებს. პრაქტიკაში უნდა განახორციელოს მევენახოების ძირითად აგროტექნიკურ და აგროტექნოლოგიურ ღონისძიებებს და ორგანიზება გაუკეთოს რთველს და რთვლისთვის მზადებას, დაადგინოს რთვლის ვადები; დაორგანიზოს ყურძნის გადამუშავება და ფერმენტაციის პროცესი; მონაწილეობა მიიღოს საწარმოში მიმდინარე ტექნოლოგიურ პროცესებში და უხელმძღვანელოს მას. მოახდენს ვაზის ორგანოების იდენტიფიცირებას, აღწერს მორფოლოგიურად და დაასაბუთებს მათ მნიშვნელობას, აგრეთვე გააანალიზოს ვაზის ცალკეულ ორგანოთა თავისებურებებს ნივთიერებათა ცვლის თვალსაზრისით და განსაზღვროს ფოტოსინთეზისა და სუნთქვის პროცესთან დაკავშირებული ბიოქიმიურ რეაქციები; შეაფასოს ვაზის ჯიში აგრობიოლოგიური და სამეურნეო მიმართულებით, დაგეგმოს და ჩაატაროს დამოუკიდებელი კვლევა ვაზის ბიოქიმიის სფეროში.

პროგრამის ხანგრძლივობა 2 წელი და მოცულობა 120 კრედიტი (სასწავლო კურსები - 80 კრედიტი, 10 კრედიტი პრაქტიკა და 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომი). პროგრამაზე სწავლების ენა ქართულია. პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება მევენახეობისა და მეღვინეობის მაგისტრის, კვალიფიკაცია.

პროგრამა უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზით (აგრარული მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიბლიოთეკა, ელექტრონული რესურსები, საუდიტორიო სივრცე, საცდელი ნაკვეთები, კომპიუტერული რესურსი და კვლევითი კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული მემორანდუმი და ხელშეკრულებები). პროგრამაში ჩართულია კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამა ფინანსდება უნივერსიტეტის ბიუჯეტით.

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 19 და 20 სექტემბერს (ცენტრის დირექტორის მოადგილის ბრძანება №1015511 მევენახეობისა და მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. უნივერსიტეტში აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, ფაკულტეტის დეკანთან და პროგრამასთან ბმაში მყოფ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამაში მონაწილე აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ სპეციელისტებთან, რომლებიც ჩართული იყვნენ პროგრამის შექმნაში და მომავალში უზრუნველყოფენ მის განხორციელებას, ასევე მოქმედ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. ექსპერთა ჯგუფის მიერ მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. ასევე განხილულ იქნა სამაგისტრო ნაშრომები. ვიზიტის ბოლოს, ექსპერთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს პროგრამის განვითარებისთვის მოახსენა ზოგადი ხედვა და რჩევა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის და სააკრედიტაციო ვიზიტის განხორციელების შედეგად დადგინდა მევენახეობისა და მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა:

<u>პირველი სტანდარტი</u> შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

<u>მეორე სტანდარტი</u> შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

<u>მესამე სტანდარტი</u> შეფასდა როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

<u>მეოთხე სტანდარტი</u> შეფასდა როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

<u>მეხუთე სტანდარტი</u> შეფასდა როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები:**

1. კურსი „ბიომევენახეობა“ მოითხოვს საერთაშორისო ანალოგების მსგავსად ჩამოყალიბებას. საგანში ფართოდაა გადაფარული საგანი „ამპელოგრაფია“-ს საკითხები, კერძოდ ადგილობრივ ჯიშებთან დაკავშირებით. ასევე გადაფარვაა „ამპელოგრაფიასა“ და „თანამედროვე ტენდენციები მევენახეობაში“, კერძოდ თემაზე ვაზის ფილოქსერაგამძლე საძირეთა შესახებ.
2. საჭიროა არჩევითი საგნებიდან ძირითადში გადმოვიდეს შემდეგი საგნები: ვაზის ეკოლოგია და ვაზის მავნებელ-დაავადებები და ინტეგრირებული დაცვის მეთოდები.
3. რეკომენდებულია, სავალდებულო საგნებიდან არჩევითში გადავიდეს შემდეგი საგნები: ამპელოგრაფია, მსოფლიო მევენახეობა-მეღვინეობა, ახალი ტენტენციები მიკრობიოლოგიაში, ვაზის ბიოქიმია და ბიომევენახეობა. ამ ცვლილებების შედეგად პროგრამა გახდება უფრო მოქნილი და ეფექტური.
4. წინაპირობებში გაწერილი უნდა იყოს, თუ როგორ უზრუნველყოფს დაწესებულება სხვა სფეროში კვალიფიკაციის მქონე პირების შესაბამისი ცოდნით უზრუნველყოფას.
5. ბიომევენახეობა ანუ ორგანული მევენახეობა უნდა დაიწყოს შესავლით და შესაბამისად ორგანული მევენახეობის ისტორია რეგიონში და მსოფლიოში. ეკოლოგიური

მეურნეობის არსი, ბიომრავალფეროვნების გაუმჯობესება, მავნებელ-დაავადებათა ორგანული მართვა, ნიადაგის განოყიერება, ამ თემების სრულყოფილი დაფარვა მხოლოდ მითითებული ლიტერატურით შეუძლებელია, შესაბამისად დამხმარე ლიტერატურაში საჭიროა დაემატოს შესაბამისი უცხოური ლიტერატურა.

6. რეკომენდებულია, განხორციელდეს დაწესებულებაში მოქმედი პროგრამების შეფასებისა და განვითარების საკითხების მომწესრიგებელი დოკუმენტების გადახედვა, რაც გულისხმობს შეუსაბამო და ურთიერთგამომრიცხავი ჩანაწერების კორექტირებას, პროგრამის შეფასების გეგმის შედგენას შესაბამისი აქტივობების, მათი ვადების/პერიოდების/პერიოდულობის მითითებით, შეფასების შედეგებზე რეაგირების მექანიზმების მკაფიოდ განსაზღვრას.

- **რჩევები:**

1. სასურველია, პროგრამის დასახელება ან დარჩეს ძველი სახელწოდებით „მევენახეობა-მეღვინეობა“ ან ხარისხის მინიჭებისას მიეცეს სწორი ფორმულირება და ნაცვლად „მევენახეობა და მეღვინეობის მაგისტრი“-სა, ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად „მევენახეობისა და მეღვინეობის მაგისტრი“.
2. სასურველია, პროგრამა ითვალისწინებდეს ისეთ სასწავლო კურსს, მაგალითად მევენახეობა-მეღვინეობის რეგულირება, რომელიც სტუდენტს მისცემს ცოდნას დარგის მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ. აღნიშნული სასწავლო კურსი ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულის კარიერულ განვითარებას, განსაკუთრებით კი მენეჯერის, ხელმძღვანელის პოზიციაზე.
3. სასურველია სილაბუსში ,,ყურძნისა და ღვინის სენსორული ანალიზი“ სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების ნაწილში დაკორექტირდეს შემდეგი ტექნიკური ხარვეზი და წარმოდგენილი წინადადებები:
   - ყურძნისა და ღვინის დეგუსტაციის საერთაშორისო სტანდარტები;
   - ღვინის სერვირების საერთაშორისო სტანდარტი;
   - ენოგასტრონომიული შეხამების საერთაშორისო სტანდარტი.

   შესწორდეს შემდეგი ფორმულირებით:
   - ყურძნისა და ღვინის დეგუსტაციის, ღვინის სერვირებისა და ენოგასტრონომიული შეხამების თანამედროვე მიდგომები, მეთოდები და საერთაშორისო პრაქტიკა.
4. სასწავლო კურსის „ყურძნისა და ღვინის სენსორული ანალიზი“- მიზნებიდან გამომდიანარე, სასურველია, მეტი დრო ეთმობოდეს ღვინის ზადისა და ნაკლის საკითხების სწავლებას.
5. სასურველია, სილაბუსში ,,ენოქიმია“ დაკორექტირდეს შემდეგი ტექნიკური ხარვეზი: ლაბორატორიული სამუშაო N 5: პოლიფენოლების განსაზღვრა ფოლინ-ჩიოკალტეუს მეთოდით და ნაცვლად პოლიფენოლებისა ჩაიწეროს ჯამური ფენოლების განსაზღვრა.
6. სასურველია დარგობრივი უცხო ენის, დარგის შესაბამისი კანონმდებლობისა და საოფისე პროგრამების გაძლიერება, რაც დაეხმარება პროგრამის კურსდამთავრებულებს დასაქმების პროცესში.
7. ხელმძღვანელობისთვის წინასწარი მემორანდუმის გაფორმება არაა სასურველი და ეს შეზღუდვა უმჯობესია არ იყოს და მოგვარდეს დაწესებულებას, პოტენციურ ხელმძღვანელს და მის დამსაქმებელს შორის, მას შემდეგ რაც სტუდენტსა და ხელმძღვანელს შორის იქნება შეთანხმება. თანახელმძღვანელის შერჩევისას ვფიქრობთ მემორანდუმის წინასწარ გაფორმება, არ უნდა იყოს დამაბრკოლებელი გარემოება და იგი

უნდა იყოს თავისუფალი. ხოლო მას შემდეგ რაც შეირჩევა ხელმძღვანელი, შესაძლოა გაფორმდეს ინდივიდუალური ან დაწესებულებებს შორის შეთანხმება.

8. აკადემიურმა პერსონალმა უნდა გააქტიუროს კვლევითი საქმიანობა, რაც სასურველია აისახოს თანამედროვე პუბლიკაციებში, იმ ჟურნალებში, რომლებსაც აქვთ იმპაქტ ფაქტორი.
9. სასურველია, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს განემარტოს და ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი მეცნიერებისა და სამეცნიერო ბაზების მოხმარებისა და მნიშვნელობის შესახებ.
10. მიზანშეწონილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს პროგრამის პერსონალის კონსულტირება განსაკუთრებით ისეთ საკითხებზე, როგორიცაა პროგრამის მიზნების და შედეგების ფორმულირება, მათი გაზომვადობა და სხვ.
11. მიზანშეწონილია დარგის ექსპერტების მიერ პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს პროგრამის მოდიფიცირების დასრულებამდე (საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე), რაც უზრუნველყოფს მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამაში ცვლილებების დროულად ასახვას.
12. სასურველია გაიზარდოს გარე შემფასებელთა რიცხვი, რაც უზრუნველყოფს შეფასების შედეგების ვალიდურობას.
13. მიზანშეწონილია გაუქმდეს დოკუმენტში „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების მექანიზმები“ დღეისათვის არარელევანტური ჩანაწერი: „უნივერსიტეტი ყოველწლიურად ამზადებს თვითშეფასების ანგარიშს და წარუდგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (გარე შეფასება)“.
14. მიზანშეწონილია, უკვე მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე, გადაიხედოს სამიზნე ნიშნულების რიცხობრივი მაჩვენებლები.
15. მიზანშეწონილია, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით პერიოდულად მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან. დადარების შედეგები უნდა იყოს ფორმალიზებული და იძლეოდეს ინფორმაციას პროგრამის განვითარებისთვის გაზიარებული მიდგომების შესახებ.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

1. საერთაშორისო თანამშრომლობა და სტუდენტთა ჩართულობა გაცვლით პროგრამებში: უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს უცხოელ პარტნიორებთან. „მევენახეობისა და მეღვინეობის“ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები ხშირად მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებში და საზღვარგარეთის სხვადასხვა უნივერსიტეტში მიღებული ახალი ცოდნა მათ ეხმარება კარიერის განვითარებაში. შესაბამისი ფაკულტეტის ხელმძღვანელობას აქვს მუდმივი კომუნიკაცია სტუდენტებთან და აწვდის ინფორმაციას უცხოური პროექტებისა და გაცვლით პროგრამების შესახებ.
2. უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს კერძო ლოკალურ ბიზნესთან (მცირე და ინდუსტრიული წარმოების ღვინის მარნებთან, მევენახეებთან) რაც ხელს უწყობს მაღალი ხარისხით განახორციელოს სტუდენტთა პრაქტიკის კომპონენტი, გაზარდოს მათი

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

ჩართულობა საწარმოო პროცესში. აღნიშნული ფაქტორი დადებითად აისახება სწავლის შედეგებზე, კურსდამთავრებულთა კვალიფიციურობასა და დასაქმების მაჩვენებლებზე.

3. მევენახეობა-მეღვინეობის ადგილობრივი ბიზნესი ჩართულია უნივერსიტეტის დარგობრივ აქტივობებში, მონაწილეობას იღებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში, ხელს უწყობს სტუდენტთა კვლევების განხორციელებას, უთმობს საკუთარ მატერიალურ ტექნიკურ-ბაზასა და კვლევითი კომპონენტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებაში სტუდენტს დახმარებას უწევს საკუთარი კადრით.
4. უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს მევენახეობისა და მეღვინეობის პროგრამის კურსდამთავრებულებთან, რომლებიც ფლობენ ან დასაქმებულნი არიან ბიზნეს სექტორში. ისინი მაღალი მოტივაციითა და ინტერესით იღებენ მონაწილეობას უსდ მიერ მევენახეობისა დამეღვინეობის სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებაში, ეხმარებიან სტუდენტთა კვლევითი სამუშაოს შესრულებაში და დასაქმებაში.

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

1. უსდ-ს მიერ არგუმენტირებული პასუხების წარმოდგენის შემდეგ ვფიქრობ, რომ პირველი რეკომენდაციისას „“ამპელოგრაფია“ სწორედ არჩევით კატეგორიას უფრო განეკუთვნება, ვინაიდან ის საკითხები რაც დაფარულია „ბიომევენახეობის“, „თანამედროვე ტენდენციები მევენაახეობაში“ და სხვ. მევენახე-მეღვინე მაგისტრის ძირითად კომპეტენციებს ფარავს და კიდევ უფრო დეტალური დაინტერესების შემთხვევაში, იგი აირჩევდა „ამპელოგრაფიის“ საგანს.
2. რაც ეხება მეორე რეკომენდაციას, აქაც მიმაჩნია რომ „ვაზის ეკოლოგია“ ვერ იქნება დამატებითი მასალა, ვინაიდან იგი უნდა მოიცავდეს ვაზთან დაკავშირებულ ყველა ძირითად ეკოლოგიურ ასპექტს და შემდეგ უნდა მოხდეს მისი გადავსება დამატებითი საგნებით, როგორებიცაა „ამპელოგრაფია“, „ბიომევენახხეობა“, „თანამედროვე დენტენციები მევენახეობაში“ თუ სხვა.
„ვაზის მავნებელ-დაავადები და ინტეგრირებული დაცვის მეთოდები“ აუცილებელი საგანია აღნიშნული სპეციალობისათვის, და იმ შემთხვევაში, თუკი უსდ თვლის, რომ ეს საკითხები გავლილი აქვთ სპეციალობიდან მოსულ ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებს, მაშინ კითხვა ჩნდება, როგორ უზრუნველყოფენ ისინი, არასპეციალობიდან მოსულმა სტუდენტებმა აირჩიონ ეს საგანი. ამ შემთხვევაში იგი არჩევითი აღარ გამოვა. ამასთან როგორც ამ მიმართულების ექსპერტი, ვფიქრობ, რომ საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწორედაც რომ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ეს საკითხები კურსდამთავრებულებმა ფუნდამენტურად იცოდნენ.
3. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით ნაწილობრივ ვუპასუხეთ პირველი რეკომენდაციის განხილვისას, „ეკოლოგია“ ფართო და ყოვლისმომცველი ტერმინია და შესაბამისად იგი უნდა ფარავდეს უსდ-ს მიერ რეკომენდაციაზე გაცემულ არგუმენტირებულ პასუხში ჩამოთვლილ საგნების ძირითად საკითხებს, ხოლო ამის შემდეგ არჩევითით მოხდეს მისი შევსება და განვითარება. სწორედ ამ შემთქვევაში გახდება პროგრამა მოქნილი და ეფექტური.
4. დაწესებულებას მიეცა შემდეგი რეკომენდაცია: „სასურველია, მითითებულ იქნას სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფეროს კოდი კლასიფიკატორის დღეისთვის მოქმედი რედაქციის შესაბამისად“,თუმცა მათ მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია მისაღებია და არ რჩება რეკომენდაციის საფუძველი.

5. მეხუთე რეკომენდაციაზე პასუხი ჩვენთვის ბუნდოვანია, ვინაიდან ჩვენთვის არაა ცნობილი რა საკითხებია მისაღებ გამოცდებში. ამასთან, ნაკლებ სავარაუდოა ჰუმანიტარული საგნებიდან მოსულ კადრებს ქონდეთ ქიმიის ან ბიოლოგიის ფუნდამენტური გაგება.
6. რეკომენდაციაში ლიტერატურასთან დაკავშირებულ უსდ-ს პასუხს ვერ დავეთანხმები, ვინაიდან ძირითად ლიტერატურაში მითითებულ N1 სახელმძღვანელო წარმოადგენს „მეთოდებისა და პრაქტიკის„ შესახებ კონდენსირებულ ვერსიას; N2 თავად „მოკლე ცნობარია“; N3 ვერ იქნება საკმარისი, ვინაიდან იგი სხვა ფორმატითაა შედგენილი და ა.შ. ამდენად რეკომენდაცია გასათვალისწინებელია.
რაც შეეხება მე- 7, მე- 8 და 9 რეკომედაციებს, უსდ-ს პოზიცია მეტწილად მისაღებია.
აღნიშნული რეკომენდაციები გახლდათ შემდეგი:
7. შემფასებლებმა გამოიჩინონ მეტი ყურადღება უზუსტობების ან ლაფსუსების გაპარვისაგან თავის დაზღვევის მიზნით. კვლევითი კომპონენტის განხილვის ნაწილი უნდა იყოს ნაშრომის მოცულობის ადეკვატური.
8. დასკვნის პროექტში არსებული რეკომენდაცია ეხება იმ მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისობაში მოყვანას, რომელიც განსაზღვრავს პროგრამების შემუშავების, მათ შეფასებისა და განვითარების წესებს. შესაბამისად, უცვლელად რჩევა დასკვნის პროექტში მითითებული რეკომენდაცია „რეკომენდებულია, განხორციელდეს დაწესებულებაში მოქმედი პროგრამების შეფასებისა და განვითარების საკითხების მომწესრიგებელი დოკუმენტების გადახედვა, რაც გულისხმობს შეუსაბამო და ურთიერთგამომრიცხავი ჩანაწერების კორექტირებას, პროგრამის შეფასების გეგმის შედგენას შესაბამისი აქტივობების, მათი ვადების/პერიოდების/პერიოდულობის მითითებით, შეფასების შედეგებზე რეაგირების მექანიზმების მკაფიოდ განსაზღვრას“.
9. დაწესებულების პოზიცია გაზიარებულია იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო პროქტის (VITAGLOBAL) ფარგლებში იქნება შესაძლებელი პროგრამის განვითარება უცხოეთის უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარების გზით. შესაბამისად, დასკვნის პროექტში არსებული რეკომენდაცია გადავიდა რჩევებში „მიზანშეწონილია, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით პერიოდულად მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან. დადარების შედეგები უნდა იყოს ფორმალიზებული და იძლეოდეს ინფორმაციას პროგრამის განვითარებისთვის გაზიარებული მიდგომების შესახებ“.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

-

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) და აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მისიაა თანამედროვე მეთოდებზე ორიენტირებული სწავლისა და სწავლების დანერგვით, აკადემიური, კულტურული, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, ქვეყნის შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადება. რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით, ცოდნის შექმნა, დაგროვება და გაზიარება აგრარული მეცნიერებების მიმართულებით და რეგიონის განვითარებისათვის ტურიზმის მიმართულების გაძლიერება-ხელშეწყობა.

უსდ მისიაა, სტუდენტებს მისცეს ღირებული ცოდნა, შეუქმნას აღიარებულ გამოცდილებაზე დაფუძნებული სასწავლო გარემო, ხელი შეუწყოს კრიტიკული, ანალიტიკური, ეთიკური, შემოქმედებითი უნარების განვითარებას სტუდენტებში და შექმნას ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოება, რომელიც მზად იქნება, ღირსეულად უპასუხოს სოფლის მეურნეობაში, კერძოდ კი მევენახეობა-მეღვინეობაში არსებულ პრობლემებს.

პროგრამის ფარგლებში მომზადებული სტუდენტები აქტიურად ჩაერთვებიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში და შეიტანენ ღირსეულ წვლილს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში.

პროგრამა ორინეტირებულია დასაქმების ბაზარზე, რაც დასტურდება დამსაქმებელთან მჭიდრო თანამშრომლობით და მისი აქტიური ჩართულობით პროგრამის განხორციელების საქმეში.

პროგრამის მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული, შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან და ფაქტობრივად მიღწევადია პროგრამის, როგორც სასწავლო ისე კვლევით კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა (მიზნები) ,,მევენახეობა და მეღვინეობა“
- თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია www.tesau.edu.ge

- აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება
- თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა www.tesau.edu.ge
- აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმاwww.tesau.edu.ge
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- თესაუ-ს ვებ გვერდი -www.tesau.edu.ge

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ხარისხის მინიჭებისას სწორი ფორმულირება მიეცეს და ნაცვლად „მევენახეობა და მეღვინეობის მაგისტრი“-სა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად „მევენახეობისა და მეღვინეობის მაგისტრი“.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები ურთიერთდაკავშირებულია. ამ კომპონენტების ერთობლიობა, სასწავლო კომპონენტის შემადგენელი სემინარებისა და სპეციალობის საგნების თანმიმდევრობა და სწორად დაგეგმილი კვლევით კომპონენტი გარკვეულწილად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას, რაც მოთხოვნილია ეროვნული საკალიფიკაციო ჩარჩოს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის მიხედვით.

პროგრამა უზრუნველყოფს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ახალი ცოდნის შექმნას მევენახეობა-მეღვინეობის დარგში, რაც იძლევა არსებული ცოდნის გაფართოებისა და ხელახალი გააზრების, ნაწილობრივ გადაფასების, ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერების საშუალებას.

პროგრამის კომპონენტების ათვისებით, მაგისტრანტი შეძლებს დარგში თანამედროვე ცოდნაზე დაყრდნობით წარმართოს აგრონომიული თუ საწარმოო პროცესები. შეძლებს აქტუალური საკვლევი საკითხების შერჩევას, ჰიპოთეზის ფორმულირებას, კვლევითი სტრატეგიის განსაზღვრას, კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვას და განხორციელებას, ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული ახლებური კვლევითი და ანალიტიკური

მეთოდებისა და მიდგომების შემუშავებას და ახალი ცოდნის ვალიდობის დადასტურებას საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა (პროგრამის მიზნები, პროგრამის სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების რუკა);
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ ინფორმაცია;
- პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული;
- პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☒	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედებს პროგრამის მიზნებისა და შედეგების განსაზღვრის აპრობირებული მექანიზმები. კერძოდ, ხდება კურსის განმავლობაში მიღებული შეფასებების ანალიზი და მათი დადარება სამიზნე ნიშნულთან; ტარდება დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა და მიღებულ შედეგებზე შესაბამისი რეაგირება. გამოკითხვები უზრუნველყოფს პროგრამით დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ეფექტური გადაწყვეტილების მიღება პროგრამის განვითარებისა და მისი შედეგების განსაზღვრის პროცესში.

საკვლევი თემის შერჩევა, დაგეგმვა და მეთოდოლოგიის განსაზღვრა, შემდგომში კი გეგმის შესრულების მონიტორინგი. კვლევაში ჩართული პირების მიერ კვლევის შედეგების შეფასება, სამაგისტრო ნაშრომის წარმოდგენა და დაცვის პროცედურების შეფასება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - „მევენახეობა და მეღვინეობა“ (კურუკულუმის რუკა, სამიზნე ნიშნულები);
- სწავლის შედეგების შეფასების შედეგები და ანალიზი;
- სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები და მასალები; (სტუდენტთა ნაშრომები);
- კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მევენახეობა და მეღვინეობა“ (შემდგომში - პროგრამა) მოიცავს 120 კრედიტს, ხანგრძლივობაა 2 წელი და შედგება სამი კომპონენტისგან – 80 კრედიტი სასწავლო კურსები, 10 კრედიტი პრაქტიკა და 30 კრედიტი კვლევითი კომპონენტი. თითოეული კომპონენტი თავისი შინაარსით, სწავლების მეთოდებით და კრედიტების მოცულობით ძირითადში უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის სასწავლო კომპონენტში გაერთიანებულ საგნებში არის ძირითადი სწავლის სფეროს 14 საგანი - 70 კრედიტი, არჩევით საგნებში - 8 საგანი, რაც კიდევ 40 კრედიტია, სავალდებულო პრაქტიკა 2 საგანი 10 კრედიტით და კვლევის კომპონენტი 30 კრედიტით. შესაბამისად სავალდებულო საგნებით ივსება ის ქვოტა, რაცაა სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული და არ რჩება კრედიტები არჩევითი საგნებისათვის.

პროგრამის ინტერნაციონალიზაციისათვის, საერთაშორისო პროგრამებში სტუდენტთა ჩართულობის ხელშესაწყობად პროგრამის კურიკულუმში წარმოდგენილია სასწავლო

კურსები: დარგობრივი უცხო ენა და ასევე ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც სტუდენტებს აძლევენ ცოდნას მსოფლიო მევენახეობა-მეღვინეობისა და ღვინის სხვადასხვა ქვეყანაში დანერგილი ტრადიციული ტექნოლოგიების შესახებ, რაც მათ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, გაეცნონ სხვა ლოკაციების ინდუსტრიებს და შეიძინონ ფართო ცოდნა ღვინის წარმოების შესახებ.

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი მეტწილად ორიენტირებულია დარგის პრაქტიკულ მოთხოვნილებებზე, ითვალისწინებს თანამედროვე ტენდენციებსა და დამსაქმებელთა საჭიროებებს. მაგალითად, პროგრამის კურიკულუმში წარმოდგენილია სასწავლო კურსი ბიომევენახეობა. ბიომევენახეობის პრაქტიკა ბოლო წლებში განსაკუთრებით პოპულარულია და როგორც მოსახელობის ისე ინდუსტრიის მხრიდან, მაღალია დაინტერესება მის მიმართ. ასევე სასწავლო კურსი ვენახის ნიადაგის მართვის შეტანას პროგრამაში დაფუძნებულია ქვეყანაში არსებულ პრობლემურ სიტუაციებზე, ხარისხოვანი ყურძნის მოყვანისათვის და ამ კუთხით ცოდნის საჭიროებაზე.

თუმცა სავალდებულო საგნები გადატვირთულია ისეთი სასწავლო კურსებით, რომლებიც სასურველია გათვალისწინებული იყოს არჩევით კომპონენტში. ასეთი საგნებია: ამპელოგრაფია, მსოფლიო მევენახეობა-მეღვინეობა, ახალი ტენტენციები მიკრობიოლოგიაში, ვაზის ბიოქიმია და ბიომევენახეობა. ხოლო სავალდებულოში უკეთესი იქნება რომ გადმოვიტანოთ ვაზის ეკოლოგია და ვაზის მავნებელ-დაავადებათა მართვა, რის გარეშეც ეფექტური აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარება შეუძლებელი იქნება.

გარდა ამისა, ზოგიერთი სასწავლო კურსი საჭიროებს დაშვების წინაპირობების განსაზღვრას, მაგ. ენოქიმიისა და ვაზის ბიოქიმიის სწავლა არასპეციალიზებული განათლების კანდიდატებისათვის შეუძლებელი იქნება, შესაბამისი საბაზისო ცოდნის გარეშე. ამდენად მიმაჩნია, რომ მათ გავლილი უნდა ქონდეთ ზოგადი ბიოლოგიისა და ქიმიის კურსი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „მევენახეობისა და მეღვინეობის“ სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა (სასწავლო გემა, დანართი 1);
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარების და გაუქმების ინსტრუქცია;
- პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები;
- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნით გათვალისწინებული აქტივობები და კომპონენტები;
- ვებგვერდი http://www.tesau.edu.ge/;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

რეკომენდაციები:

- საჭიროა არჩევითი საგნებიდან ძირითადში გადმოვიტანოთ ვაზის ეკოლოგია და ვაზის მავნებელ-დაავადებები და ინტეგრირებული დაცვის მეთოდების საგნები.
- სავალდებულო საგნებიდან არჩევითში გადავიტანოთ შემდეგი საგნები: ამპელოგრაფია, მსოფლიო მევენახეობა-მეღვინეობა, ახალი ტენტენციები მიკრობიოლოგიაში, ვაზის ბიოქიმია და ბიომევენახეობა. ამ ცვლილებების შედეგად პროგრამა გახდება უფრო მოქნილი და ეფექტური.
- ენოქიმიისა და ვაზის ბიოქიმიის საგნებს სჭირდებათ წინაპირობა. გავლილი უნდა ქონდეთ ზოგადი ქიმიისა და ზოგადი ბიოლოგიის საგნები. ასეთების არ არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული საგნები, რაც უზრუნველყოფს მოცემული საგნებისათვის საჭირო საბაზისო ცოდნას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამა ითვალისწინებდეს ისეთი სასწავლო კურსს, მაგალითად მევენახეობა-მეღვინეობის რეგულირება, რომელიც სტუდენტს მისცემს ცოდნას დარგის მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ. აღნიშნული სასწავლო კურსი ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულის კარიერულ განვითარებას, განსაკუთრებით კი მენეჯერის, ხელმძღვანელის პოზიციაზე.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☐	☐	☒	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სწავლის ძირითადი სფეროს სასწავლო კურსების უმრავლესობის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც დასტურდება კურიკულუმში წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუკაში მოცემული ინფორმაციით.

ძირითადი სწავლის სფეროს უმრავლეს შემთხვევაში სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება მაგისტრატურის დონეს და მათგან გამომდინარეობს პროგრამის სწავლის შედეგები, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა დადგენილია ამ სასწავლო კურსის მიზნით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდების საჭიროებისა და ასათვისებელი მასალის სირთულისა და მოცულობის შესაბამისად. თუმცა კურსი ბიომევენახეობა მოითხოვს გადახედვას და არსებულ ანალოგებთან შესაბამისობაში მოყვანას, ვინაიდან იგი ვერ პასუხობს საგნის ძირითად შინაარსს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მევენახეობა და მეღვინეობა“;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- სასწავლო კურსის/საგნის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;

- სილაბუსებში ასახული სასწავლო მასალა/რესურსი, საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზები;
- ინტერვიუ პროგრამის აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები:

- კურსი „ბიომევენახეობა“ მოითხოვს მის ანალოგებთან შედარებასა და შეთანხმებას. ამასთან ამ საგანში ფართოდაა გადაფარული საგანი „ამპელოგრაფია“-ს საკითხები, კერძოდ ადგილობრივ ჯიშებთან დაკავშირებით. ასევე გადაფარვაა ამპელოგრაფიასა და თანამედროვე ტენდენციები მევენახეობაში, კერძოდ თემაზე ვაზის ფილოქსერაგამძლე საძირეთა შესახებ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სილაბუსში ,,ყურძნისა და ღვინის სენსორული ანალიზი“-ის: სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების ნაწილში დაკორექტირდეს შემდეგი ტექნიკური ხარვეზი და წარმოდგენილი წინადადებები:
  - ყურძნისა და ღვინის დეგუსტაციის საერთაშორისო სტანდარტები;
  - ღვინის სერვირების საერთაშორისო სტანდარტი;
  - ენოგასტრონომიული შეხამების საერთაშორისო სტანდარტი.

  შესწორდეს შემდეგი ფორმულირებით:
  - ყურძნისა და ღვინის დეგუსტაციის, ღვინის სერვირებისა და ენოგასტრონომიული შეხამების თანამედროვე მიდგომები, მეთოდები და საერთაშორისო პრაქტიკა.
- სასწავლო კურსის „ყურძნისა და ღვინის სენსორული ანალიზი“ - მიზნებიდან გამომდინარე, სასურველია, მეტი დრო ეთმობოდეს ღვინის ზადისა და ნაკლის საკითხების სწავლებას.
- სასურველია, სილაბუსში „ენოქიმია“, დაკორექტირდეს შემდეგი ტექნიკური ხარვეზი: ლაბორატორიული სამუშაო N5: პოლიფენოლების განსაზღვრა ფოლინ-ჩიოკალტეუს მეთოდით და ნაცვლად პოლიფენოლებისა ჩაიწეროს ჯამური ფენოლების განსაზღვრა.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაზე სწავლა შეუძლია არანაკლებ ბაკალავრს, ან მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის მქონე პირს. პროგრამაზე ჩარიცხვა მოხდება გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული საერთო სამაგისტრო გამოცდისა და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ დაორგანიზებული მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში: ა) ტესტი მევენახეობასა და მეღვინეობაში; ბ) გამოცდა უცხო ენაში (ინგლისური ენა)

პროგრამაზე მისაღები გამოცდის ჩასაბარებლად სავალდებულოა უცხო ენის (ინგლისური ენა) ცოდნა B1 დონეზე, ან იგივე დონის შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატის ფლობა ინგლისური ენის მიმართულებით.

სპეციალობის გამოცდაზე მაქსიმალური შეფასება -100 ქულა. გამოცდაზე წარმოდგენილი იქნება ტესტი სპეციალობაში , რომელიც შედგება 100 კითხვისაგან (მათ შორის 50 კითხვა მევენახეობის, ხოლო 50 კითხვა მეღვინეობის თემატიკიდან), თითოეული კითხვის სწორი პასუხი ფასდება მაქსიმუმ 1 ქულით, სულ ტესტის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა.

სავალდებულოა პროგრამაზე მსურველმა თითოეულმა პირმა მინიმალური 25 ქულა მოაგროვოს მევენახეობის კითხვარზე, ხოლო მინიმალური 26 ქულა მეღვინეობის კითხვარზე, სულ მინიმალური ქულათა რაოდენობა 51.

სავარაუდო თემატიკის შესახებ სასურველი იყო წარმოდგენილი ყოფილიყო შესაბამისი შესაბამისი დოკუმენტი.

პროგრამაზე გარე შეფასების დოკუმენტში ნათქვამია, რომ სამაგისტრო კურსი (პროგრამა) საკმაოდ სპეციფიკურია და მოითხოვს დარგთან მონათესავე სფეროების ცოდნას, რაც არის წინაპირობა - მივიღოთ სამეცნიერო უნარების მქონე მევენახეობისა და მეღვინეობის მაგისტრი. პროგრამის დაშვების წინაპირობა ფორმულირებულია: სამაგისტრო პროგრამაზე სწავლა შეუძლია არანაკლებ ბაკალავრს, ან მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის მქონე პირს, შესაბამისად ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებს, რომლებსაც აქვთ ძალიან განსხვავებული ცოდნა და გამოცდილება, გაუჭირდებათ პროგრამის დაძლევა. ამიტომ გასათვალისწინებელია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, ამასთან სასურველია მითითებულ იქნას სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფერო.

კლასიფიკატორის სფეროსთან დაკავშირებით უსდ-ს პოზიცია მისაღებია

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „მევენახეობა და მეღვინეობა“ სამაგისტრო პროგრამა;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი http://www.tesau.edu.ge/;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში გაწერილი უნდა იყოს, თუ როგორ უზრუნველყოფს დაწესებულება სხვა სფეროში კვალიფიკაციის მქონე პირების შესაბამისი ცოდნით უზრუნველყოფას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☐	☒	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

„მევენახეობის და მეღვინეობის“ სამაგისტრო პროგრამის შემადგენელ რიგ კომპონენტებში (სილაბუსებში) გათვალისწინებულია ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობები, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებში პრაქტიკული უნარების ინტეგრირებას.

სამაგისტრო თემის მომზადებისას, სტუდენტი უნდა ატარებდეს დამოუკიდებელ ექსპერიმენტს მევენახეობის და მეღვინეობის ტექნოლოგიის სფეროში. სტუდენტს აქვს საშუალება გამოიყენოს უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში არსებული ლაბორატორია, ნაკვეთები და ასევე მემორანდუმის საფუძველზე ითანამშრომლოს შესაბამისი პროფილის საწარმოებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან, დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ობიექტებთან;
- დაფინანსებული/მიმდინარე/ სამეცნიერო-კვლევითი პროექტი და სტუდენტთა ჩართულობის დამადასტურებელი ინფორმაცია;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☒	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს. თითოეული სასწავლო კურსის შესწავლის მეთოდოლოგიას ირჩევს ლექტორი, თავისი პროფესიული გამოცდილებიდან გამომდინარე და პასუხისმგებელია სწავლის შედეგებზე. პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში დაწვრილებით არის აღწერილი სწავლება-სწავლის მეთოდები, რომელიც ხშირ შემთხვევაში შეესაბამება კურსის სპეციფიკას, შინაარსსა და სწავლის შედეგებს. ამგვარად ჩამოყალიბებული სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევის მთავარი მიზანია, მაქსიმალურად ჩართოს სტუდენტი დაგეგმილ აქტივობაში. თითოეულ სასწავლო კურსში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას, ხელს უწყობს სტუდენტს, განივითაროს ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები. თუმცა, ზოგიერთი საგანი მოითხოვს კურსის გადახედვას და შესაბამის ანალოგებთან შესაბამისობაში მოყვანას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მევენახეობა და მეღვინეობა“;
- სწავლება-სწავლის მეთოდები (სასწავლო კურსების სილაბუსები);
- პროგრამის განხორციელებისთვის უსდ-ში არსებული ელექტრონული რესურსები.

რეკომენდაციები:

- ბიომევენახეობა ანუ ორგანული მევენახეობა უნდა დაიწყოს შესავლით და შესაბამისად ორგანული მევენახეობის ისტორია რეგიონში და მსოფლიოში. ეკოლოგიური მეურნეობის არსი, ბიომრავალფეროვნების გაუმჯობესება, მავნებელ-დაავადებათა ორგანული მართვა, ნიადაგის განოყიერება, ამ თემების სრულყოფილი დაფარვა მხოლოდ

მითითებული ლიტერატურით შეუძლებელია, შესაბამისად დამხმარე ლიტერატურაში საჭიროა დაემატოს შესაბამისი უცხოური ლიტერატურა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან, სტუდენტები და პერსონალი ჩართულნი არიან სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში, შესაბამისად არსებობს საშუალება იმისა რომ დაიგეგმოს უცხოეთის უნივერსიტეტის ლექტორების ლექციები, სემინარები და ვორქშოფები, რაც ასევე შესაძლებელია მოხდეს ონლაინ რეჟიმში. მევენახეობა-მეღვინეობის მაგისტრატურის პროგრამის სტუდენტებისათვის. უცხოელი პედაგოგების ჩართულობა სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობს სტუდენტთა მიერ ახალი ცოდნის მიღებასა და გააღრმავებს მოტივაციასა და სწავლისადმი ინტერესს.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☐	☒	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

„მევენახეობის და მეღვინეობის“ სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამაში (შემდგომში - პროგრამა) გამოყენებული სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის რელევანტურია, ობიექტურია და გამჭვირვალე. სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, რაც მთავარია, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. სტუდენტების ცოდნის შეფასება სასწავლო კომპონენტში ხორციელდება შუალედური და დასკვნითი შეფასებებით. შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს მრავალფეროვანი მეთოდებით: ზეპირი/წერითი გამოკითხვა, დემონსტრირება, პრეზენტაცია, ტესტი, ქვიზი, პრაქტიკული/ლაბორატორიული სამუშაო, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, საშინაო დავალება, როლური თამაში, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვა. სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გაწერილია სასწავლო კურსის სილაბუსებში შესაბამისი კომპონენტების მიხედვით და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. სამაგისტრო ნაშრომების მომზადება და დაცვა ხორციელდება გამჭვირვალე პროცედურების მიხედვით. ხოლო ნაშრომის შეფასების სქემა კანონმდებლობასთან შესაბამისია.

პროგრამის სტუდენტის ცოდნის მიღწევები ფასდება 100 ქულიანი სისტემით. სტუდენტის მიღწევების შეფასება ხდება ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების (ECTS)

სისტემით, რომლის მიხედვითაც შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ზემოთმოყვანილი ერთ-ერთი დადებითი შეფასებით. განმარტებულია თუ რა შემთხვევაში იქნება დამატებითი გამოცდა ჩანიშნული.

რაც შეეხება კვლევით კომპონენტს - სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა ფასდება ერთჯერადად, მისი დაცვის შემდეგ. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ტარდება საჯაროდ კომისიის წინაშე. სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისას განსაზღვრული უნდა იყოს ხელმძღვანელის, რეცენზენტებისა და კომისიის შეფასებები შესაბამისი პროპორციების დაცვით. კომისიის წევრთა საშუალო შეფასების მაქსიმალური ქულაა -60, ხოლო ხელმძღვანელისა და რეცენზენტის მაქსიმალური ქულა-40.

უნივერსიტეტში მოქმედებს პლაგიატის გამოვლენისთვის აუცილებელი ელექტორნული პროგრამა. აგრეთვე მოქმედებს სტუდენტთა მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების სისტემა. ინტერვიუების დროს გამოირკვა, რომ სტუდენტები უნივერსტეტში არსებული შეფასების მექანიზმების შესახებ ინფორმაციას ფლობენ. აკადემიური პერსონალი შეძლებისდაგვარად ითვალისწინებს სტუდენტის ინტერესებს ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით და რეაგირებს სტუდენტის თხოვნასა და წინადადებაზე.

განხორციელებული ინტერვიუების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას.

შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შევამოწმეთ 4 სამაგისტრო ნაშრომი, რა დროსაც გამოვლინდა ხარვეზი შეფასების სისტემაში. კერძოდ ნაშრომში გარკვეულ გვერდებზე მოცემული იყო ინგლისური ტექსტი, თარგმნის ან ციტირების მითითების გარეშე. ასევე შედეგების ნაწილი წარმოადგენდა ნაშრომის მთლიანი მოცულობის მხოლოდ 2-3%-ს, თუმცა ნაშრომის შეფასება მაინც უმაღლესი იყო. შესაბამისად ეს საკითხი გადახედვას და დახვეწას მოითხოვს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მევენახეობა და მეღვინეობა“;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების, გაფორმების, დაცვისა და შეფასების წესის შესახებ დებულება;
- სტუდენტთა შეფასების ელექტრონული სისტემა/პორტალი;

- შეფასების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტი (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი);
- პლაგიატის გამოვლენისა და რეაგირების წესი;
- ეთიკის კოდექსი;
- შესრულებული ნაშრომები;
- ინტერვიუების შედეგები;
- ვებგვერდი http://www.tesau.edu.ge/

რეკომენდაციები:

დაწესებულებამ უპასუხა

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.4 სტუდენტების შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ზრუნავს სტუდენტთა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი კონტაქტშია სტუდენტებთან და სწავლის დაწყებისთანავე ეხმარება მათ საგანმანათლებლო პროგრამების/სასწავლო კურსების შინაარსის, წინაპირობების, კრედიტების დაგროვების და სხვა საჭირო დეტალების გარკვევაში. საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტის სტუდენტები ინფორმაციას იღებენ სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკისა და თავისებურებების შესახებ, სასწავლო პროცესის დაგეგმვის და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე. ისინი ასევე, იღებენ სათანადო კონსულტაციებს შესაძლო დასაქმებასთან დაკავშირებით და კარიერული განვითარების კუთხით, აქვთ მხარდაჭერა უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან. სტუდენტების ინფორმირებულობას უსდ ახორციელებს ისეთი გზებით, როგორიცაა: გაფორმებული ხელშეკრულებები, ყოველსემესტრული საინფორმაციო შეხვედრები, მაგისტრანტებთან ინდივიდუალური მუშაობა, ლექტორებისთვის გამოყოფილი დამატებითი დრო სტუდენტების კონსულტირებისთვის, სტუდენტების წვდომა ერთიან მონაცემთა ბაზაზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პოტენციური დამსაქმებლების შესახებ, დამსაქმებლებთან მიზნობრივი შეხვედრების მოწყობას, მაგისტრანტისა და პროფესორის კომუნიკაციას სატელეფონო საუბრების სახით, და ა.შ.

კარიერული ზრდის სერვისის საქმიანობა მოიცავს: პოტენციურ დამსაქმებლებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიებას და ერთიან მონაცემთა ბაზის შექმნას; დამსაქმებლებთან ურთიერთობის კოორდინირებას და რეგულარული კონტაქტების დამყარებას დამსაქმებლებთან ინფორმაციის გაცვლის მიზნით; სტუდენტების მონაცემთა გადაგზავნას კონკრეტულ ვაკანსიებზე, ასევე მათთვის სტაჟირებისა თუ დასაქმების სხვა შესაძლებლობების მოძიებას; შრომის ბაზრის დინამიკის რეგულარულ ანალიზს და არსებული ვაკანსიების მონიტორინგს; დამსაქმებლებთან ურთიერთობაში სტუდენტების დახმარებასა და ხელშეწყობას; დამსაქმებლებთან მიზნობრივი შეხვედრების მოწყობას; სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შესახებ კვლევას მათი კარიერული, პიროვნული და აკადემიური განვითარების ხელშეწყობის მიზნით; ფაკულტეტებთან ერთად, პროგრამების შემუშავებაში პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობის ხელშეწყობას.

უნივერსიტეტში გამართულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო და საერთაშორისო ელექტრონული რესურსები.

პროგრამის სტუდენტებს აქვთ ერასმუს+ საერთაშორისო პროექტის ფარგლებში, სასწავლებლად/კვლევის ჩასატარებლად პარტნიორ უნივერსიტეტებში გამგზავრების და პროექტით დაგეგმილ აქტივობებში ჩართვის საშუალება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

სტუდენტები კითხვარების საშუალებით აფასებენ გავლილ სასწავლო კურსებს, მის საჭიროებას და ლექტორებს. ინტერვიუების დროს, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი პროგრამის განვითარების პროცესში ითვალისწინებს სტუდენტთა რეკომენდაციებს, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ სტუდენტებმა მათი რეკომენდაციის შედეგად გადაჭრილი პრობლემა ან გაუმჯობესებული საკითხი ვერ

გაიხსენეს. აგრეთვე, ინტერვიუების დროს გამოირკვა, რომ ხშირ შემთხვევაში დარგობრივი უცხო ენის, დარგის შესაბამისი კანონმდებლობისა და საოფისე პროგრამების არასაკმარისად ცოდნა პროგრამის კურსდამთავრებულებს დასაქმების პროცესში გარკვეულწილად აფერხებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულება;
- აკადემიური პერსონალის დატვირთვა;
- დაგეგმილი და განხორციელებული საკონსულტაციო მომსახურებები(თესაუ-ში აკადემიური დატვირთვების ინსტრუქცია);
- საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართულ (პროგრამაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი) პირთა დატვირთვა, ფუნქციები და მოვალეობები, მათი სამუშაო აღწერილობები (წესდება);
- ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობებში სტუდენტთა ჩართულობის დოკუმენტები/ინფორმაცია(კონფერენციის მასალები;
- ინტერვიუების შედეგები;
- ვებგვერდი http://www.tesau.edu.ge/

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დარგობრივი უცხო ენის, დარგის შესაბამისი კანონმდებლობისა და საოფისე პროგრამების გაძლიერება, რაც დაეხმარება პროგრამის კურსდამთავრებულებს დასაქმების პროცესში.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	☒	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მაგისტრანტთა ხელმძღვანელი შეიძლება იყოს როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის უნივერსიტეტის (თუ ამ უნივერსიტეტთან გაფორმებულია მემორანდუმი) ძირითადი

საგანმანათლებლო ერთეულის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან სხვა პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი. ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია დასტურდება მათ პირად საქმეებში არსებული მასალით. - სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი დახმარებას უწევს მაგისტრანტს კვლევითი კომპონენტის შესრულებაში. ამ მიზნით ახორციელებს სტუდენტთან რეგულარულ შეხვედრა-კონსულტაციებს შემდეგ აქტუალურ საკითხებზე: ინდივიდუალური კვლევითი გეგმის შემუშავება; კვლევის დიზაინის შერჩევა; სამეცნიერო ლიტერატურაზე, ლაბორატორიებზე, ელექტრონულ ბაზებზე, ასევე სხვა რესურსებზე წვდომა; ნაშრომის წერის პროცესის სწორად დაგეგმვა და განხორციელება.

ხელმძღვანელისადმი მიმაგრებული მაგისტრანტთა რაოდენობა გამომდინარეობს ხელმძღვანელის სასწავლო და კვლევითი დატვირთვიდან (უნივერსიტეტში არსებული წესის მიხედვით).

აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ ხელმძღვანელობისთვის წინასწარი მემორანდუმის გაფორმება არაა სასურველი და ეს შეზღუდვა უმჯობესია არ იყოს და მოგვარდეს დაწესებულებას, პოტენციურ ხელმძღვანელს და მის დამსაქმებელს შორის, მას შემდეგ რაც სტუდენტსა და ხელმძღვანელს შორის იქნება შეთანხმება.

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	**12**
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	**30**
თანაფარდობა	**0.4**

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების, გაფორმების, დაცვისა და შეფასების შესახებ დებულება;
- აკადემიური პერსონალის დატვირთვები;
- დაცული სამაგისტრო ნაშრომები;
- აკადემიური პერსონალის CV და შრომების სია;
- შესრულებული ნაშრომები;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ხელმძღვანელობისთვის წინასწარი მემორანდუმის გაფორმება არაა სასურველი და ეს შეზღუდვა უმჯობესია არ იყოს და მოგვარდეს დაწესებულებას, პოტენციურ ხელმძღვანელს და მის დამსაქმებელს შორის, მას შემდეგ რაც სტუდენტსა და ხელმძღვანელს შორის იქნება შეთანხმება.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ფაკულტეტზე მევენახეობისა და მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად მუშაობს აკადემიური პერსონალი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ამ

პროგრამის წარმატებით განხორციელება. უნივერსიტეტში აკადემიური პოზიციების დაკავება რეგულირდება საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ და უნივერსიტეტის წესდებით. აკადემიური პერსონალის პროფესიონალიზმსა და კვალიფიკაციას ადასტურებს მათი პროფესიული საქმიანობა, აქტივობები ამ მიმართულებით და შესაბამისი დოკუმენტაცია (დიპლომები, სერტიფიკატებიდაა.შ.). პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა, სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. პროგრამის განმახორციელებელ პერსონალიდან უნივერსიტეტიდან ჩართულია 11 აფილირებული აკადემიური პერსონალი, ხოლო მოწვეული 3. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსია 11/3. მათ პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული ბიოგრაფიები და შრომითი გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის ნაწილს ბოლო 5 წლის განმავლობაში არ გააჩნიათ პუბლიკაცია ინფაქტფაქტორის მქონე ჟურნალებში, რაც ასევე ასახულია მათ სამეცნიერო ბაზების მონაცემებში, კერძოდ Google Scholar, Scopus, Researchgate, Publon და ORCID ის ბაზები, რომლებიც ღიაა და ყველასათვის წვდომადი.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი				
- პროფესორი	2	2	2	2
- ასოცირებული პროფესორი	9	9	9	9
- ასისტენტ-პროფესორი				
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	3			_
სამეცნიერო პერსონალი				_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები;
- აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესახებ დებულება;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვები;
- აკადემიური პერსონალის CV და შრომების სია;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებები;
- აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარებისა და გაუქმების ინსტრუქცია;

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- უნივერსიტეტის წესდება.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- აკადემიურმა პერსონალმა უნდა გააქტიუროს კვლევითი საქმიანობა, რაც სასურველია აისახოს თანამედროვე პუბლიკაციებში, იმ ჟურნალებში, რომლებსაც აქვთ ინფაქტ ფაქტორი.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	11	10	
- პროფესორი	9		
- ასოცირებული პროფესორი	2		
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი	1		_
სამეცნიერო პერსონალი			_

მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და ზოგიერთ შემთხვევაში თანახელმძღვანელი, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

თითოეული ხელმძღვანელი მაგისრანტის ჩართულობით უზრუნველყოფს შეარჩიოს

საკვლევი თემატიკა დარგის აქტუალური საკითხებიდან, კოორდინირება გაუწიოს კვლევითი პროცესის წარმატებით განხორციელებას და შედეგის სამაგისტრო ნაშრომში ასახვას, ასევე შესაძლებელია კვლევითი შედეგები ასახული იქნას სამეცნიერო პუბლიკაციის სახით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

წარმოდგენილი CV-ები

ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- თანახელმძღვანელის შერჩევისას ვფიქრობთ მემორანდუმის წინასწარ გაფორმება, არ უნდა იყოს დამაბრკოლებელი გარემოება და იგი უნდა იყოს თავისუფალი. ხოლო მას შემდეგ რაც შეირჩევა ხელმძღვანელი, შესაძლოა გაფორმდეს ინდივიდუალური ან დაწესებულებებს შორის შეთანხმება.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☒	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის წლიური სასწავლო და სამეცნიერო დატვირთვის სქემით განსაზღვრულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის ნორმები, კერძოდ სასწავლო წლის განმავლობაში მათი წლიური დატვირთვის ოდენობა, სასწავლო მუშაობის ცალკეული აქტივობების საათობრივი ნორმები. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვები გადანაწილებულია სემესტრების მიხედვით და ყოველი სემესტრის დასაწყისში ივსება თითოეული პერსონალისათვის ინდივიდუალური დატვირთვის სქემა. დეპარტამენტის, ფაკულტეტის დეკანის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, უნივერსიტეტის

ადმინისტრაცია, სასწავლო წლის ბოლოს, განიხილავს და აფასებს აკადემიური პერსონალის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების მიერ სასწავლო წლის განმავლობაში გაწეული სასწავლო და სამეცნიერო წლიური დატვირთვის შესრულების შედეგებს.

უნივერსიტეტში განსაზღვრულია, პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ პროფესორის სასწავლო-კვირეული დატვირთვა. საგანამანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარება ხდება სისტემატურად, პერსონალი იკვლევს და აქვეყნებს სამეცნიერო შრომებს ტექნოლოგიის სფეროს აქტუალურ პრობლემებზე ადგილობრივ და უცხოურ, სამეცნიერო ბაზებში განთავსებულ, მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, თესაუ-ს ადმინისტრაციის ხელშეწყობით მონაწილეობას ღებულობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, პროფესიულ ტრენინგებში, ასევე თვითონ არიან ჩართული ტრენინგების მოწყობაში. აქტიურად მუშაობენ სამეცნიერო- კვლევით პროექტებზე და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ჩართულობით იღებენ შესაბამის დაფინანსებას. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი დღემდე ევროპის ბევრი წამყვანი უნივერსიტეტის პარტნიორია და წარმატებით ახორციელებს სტუდენტთა და ლექტორთა გაცვლით პროგრამებს. ამ პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს უნივერსიტეტის სტუდენტთა და ლექტორთა სწავლა და კვლევები ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში. ამასთანავე, თელავის უნივერსიტეტში ჩამოდიან და ლექციებს კითხულობენ უნივერსიტეტის ევროპელი პარტნიორი ლექტორები, რომლებიც ჩართულნი არიან ერთობლივი პროექტების განხორციელებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კვლევითი-პროექტების-დაფინანსების-შესახებ დებულება
- კადემიური პერსონალის უნივერსიტეტთან აფილირების წესი
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტუურებელი დოკუმენტაცია
- აკადემიური პერსონალის CV და შრომების სია

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს განემარტოს და ჩაუტარდეს ინსტრუქტაში მეცნიერებისა და სამეცნიერო ბაზების მოხმარებისა და მნიშვნელობის შესახებ.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☒	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მევენახეობისა და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამის ეფექტური განხორციელებისათვის უნივერსიტეტს გააჩნია მატერიალურ–ტექნიკური ბაზა: უნივერსიტეტს აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად საჭირო ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა. უნივერსიტეტი სტუდენტებს მიმზიდველ გარემოს სთავაზობს პროდუქტიული საქმიანობისათვის.

უნივერსიტეტი მაგისტრანტებს უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისა და კვლევისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტში არსებობს სათანადო მატერიალური რესურსი, ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა. ეს ყოველივე, მაგისტრანტებს საშუალებას აძლევს, მიეწოდოთ პროგრამით გათვალისწინებული ინფორმაცია/რესურსები. სალექციო აუდიტორიებში შექმნილია სწავლისთვის ადეკვატური გარემო.

უნივერსიტეტს გააჩნია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი ბიბლიოთეკა, რომელსაც აქვს წიგნსაცავი, სააბონენტო და სამკითხველო დარბაზი, კომპიუტერული ტექნიკა, სააქტო და საპრეზენტაციო დარბაზები, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული), რომელიც სისტემატურად მდიდრდება უნივერსიტეტის მიერ შეძენილი ახალი წიგნებით. ბიბლიოთეკა ჩართულია სხვადასხვა ელექტრონული ბიბლიოთეკის საძიებო სისტემაში. კომპიუტერულ ცენტრებში განთავსებულია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერები და საინფორმაციო ტექნოლოგიების სხვა ტექნიკა (პრინტერები, სკანერები, ქსეროქსები და სხვა), რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის.

გარდა ამისა, მაგისტრანტებს საშუალება ეძლევათ, კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად ისარგებლონ უნივერსიტეტის კლევით ლაბორატორიით, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით და 16 ჰექტარი კვლევითი ნაკვეთით, სადაც გაშენებულია სხვადასხვა ჯიშის ვაზი; ასევე უნივერსიტეტის სამეცნიერო იდეების ლაბორატორიითა და საქართველოს პარტნიორი უნივერსიტეტების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ბიბლიოთეკებით და კვლევითი ლაბორატორიებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თესაუ-ს ბიბლიოთეკის კატალოგი;
- საბიბლიოთეკო ასოციაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფაქტობრივი მდგომარეობა.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა არის მოთხოვნადი და მასზე ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა იზრდება. გარდა ამისა სპეციალობა მევენახეობა და მეღვინეობა წარმოადგენს ქვეყნისთვის და კახეთის რეგიონისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგს.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტში ცენტრალიზებულად (უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებისა და გასავლების ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით).

ცალკეულ საგანმანათლებლო პროგრამას საკუთარი ფინანსური უზრუნველყოფა ამ ეტაპზე არ გააჩნია, თუმცა მისი ბიუჯეტი ინტეგრირებულია უნივერსიტეტის ბიუჯეტთან.

უნივერსიტეტის ფინანსურ ადმინისტრაციას გააჩნია სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც გამოთვლილია პროგრამის გავლის საფასურის მიხედვით მომსახურე აკადემიური და დამხმარე პერსონალის ხელფასები, ასევე სახელმძღვანელოების, მივლინების, სამეცნიერო კონფერენციაზე მონაწილეობის და სხვადასხვა მომსახურების ხარჯები. არსებობს უნივერსიტეტის სტაბილური ბიუჯეტი, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების სტაბილურობას. აქ გასათვალსიწინებელია, რომ უნივერსიტეტი დამატებით გამოყოფს კვლევისთვის თანხას ბიუჯეტიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- პროგრამის ბიუჯეტი.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარების საკითხების მომწესრიგებელ რეგულაციას წარმოადგენს აკადამიური საბჭოს მიერ დამტკიცებული (ოქმი #6, 07.04.2020) „აკადემიური საგანმანათლებ-ლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარების და გაუქმების ინსტრუქცია“, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა, მაგ., პროგრამის კურიკულუ-მის, კრედიტის, მოდულის, სილაბუსის, უმაღლესი განათლების საფეხურების განმარტება (მ.1); კვალიფიკაციის მინიჭების წესი (მ.2); საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის საფეხურები და შესაბამისი კვალიფიკაციები (მ.3); უმაღლესი განათლების საფეხურები და მათი მოცულობა (მ. 4); ბაკალავრიატში, მაგისტრატურაში და დოქტორანტურაში სწავლის მიზნები (მ.6); ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები (მ.7); კრედიტების განაწილება (მ.8); საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა (მ.9). დოკუმენტის დანართებია: პროგრამის კურიკულუმის, სასწავლო გეგმის, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების

შესაბამისობის რუკის, პროგრამის სწავლის შედეგების რუკის, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკის, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის, პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების, სილაბუსის და სხვა უნიფიცირებული ფორმები. დოკუმენტის შემადგენელი ნაწილია „პროგრამების დაგეგმვის განხორციელების/ცვლილებების ინსტრუქცია“, რომლის თანახმად:

- პროგრამის დაგეგმვა ხდება შესაბამის დეპარტანებტში;
- პროგრამის განხორციელების აუცილებლობას განაპირობენ: 1) შრომის ბაზარზე არსებული პირობების დაკმაყოფილება; 2) უნივერსიტეტის მისიითა და სტრატეგული განვითარების გეგმით დასახული მიზნების მიღწევა, ასევე სხვა კვლევით/საწარმოო გარემოში არსებული გამოწვევების გადალახვა;
- პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს პროგრამის მუდმივ განვითარებას, პროგრამის თვითშეფასების მიზნით ატარებს კვლევას, რომელშიც მონაწილეობენ განმახორციელებელი პერსონალი, ადმინისტრაცია, პოტენციური დამსაქმებლები, პოტენციური აბიტურიენტები, სტუდენტები/კურსდამთავრებულები (არსებობის შემთხვევაში) და სხვა სამიზნე ჯგუფები (საჭიროების შემთხვევაში);
- პროგრამა განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს, რომელიც განიხილავს პროგრაის განხორციელების საჭიროების და შესაძლებლობის საკითხს. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში კი პროგრამა განიხილება ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ, დადებითი შეფასების შემთხვევაში კი პროგრამას განიხილავს და ამტკიცებს აკადემიური საბჭო, რის შემდეგ პროგრამა აკრედიტაციის მიღების მიზნით წარედგინება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;
- ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსით პროგრამის განხორციელებისა და განვითარების მხარდაჭერას.

ასევე, დაწესებულებაში შემუშავებულია <u>„ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მევენახეობისა და მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებისათვის“</u>, რომლის თანახმად: 1) სასწავლო კომპონენტის დაძლევადობის შეფასების მექანიზმებია სასწავლო კურსის დაძლევის შეფასება (მოიაზრებს მიღებული შეფასებების ანალიზს და მათ დადარებას სამიზნე ნიშნულებთან; სტუდენტების, დამსაქმებლების, აკადემიური პერსონალის გამოკითხვების ანალიზს, დაინტერესებული მხარეების კმაყოფილების კვლევას), 2) კვლევითი კომპონენტის შეფასების მექანიზმები მოიცავს: საკვლევი თემის შერჩევის პროცედურებს, თემის გეგმის შემუშავებას, მეთოდოლოგიის განსაზღვრას, გეგმის შესრულების მონიტორინგს, კვლევის შუალედური შედეგების გამოქვეყნების შეფასებას, კვლევაში ჩართული პირების მიერ კვლევის შედეგების შეფასებას, სამაგისტრო ნაშრომების წარდგენისა და დაცვის პროცედურების შეფასებას. დოკუმენტის თანახმად, შესრულების ეტაპებია: 1) პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის შეფასება, 2) სემესტრული ანალიზი სწავლის შედეგების მიღწევადობის შეფასებ, 3) კვლევითი კომპონენტის პროცესის შეფასება სემესტრულად/წლიურად.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას ეთხოვა დამატებით ინფორმაციის წარდგენა, რის შემდეგ წარმოდგენილ იქნა დოკუმენტი <u>„ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების მექანიზმები“</u>, რომლის თანახმად დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა იყენებს PDCA ციკლს: 1) „დაგეგმე“ (დაწესებულების სასწავლო და კვლევითი მუშაბის შეფასება; კურიკულუმისა და სილაბუსების შეფასება; აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასება, რეკომენდაციების შემუშავება სრულყოფის, ხარისხის ამაღლების და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებისათვის; შიდა და გარე პროცედურებისათვის

მომზადება); 2) „განახორციელე“ (დაგეგმილი შეფასება წინასწარ დადგენილი კრიტერიუ-მებისა და გრაფიკის მიხედვით); 3) „შეამოწმე“ (მოწმდება რა მექანიზმი მუშაობს/არ მუშაობს და მიზესების დადგენა); 3) „განავითარე“ (ჯამდება შეფასების შედეგები, განისაზღვრება ძლიერი და სუსტი მხარეები, დგინდება მიზეზები და შემუშავდება რეკომენდაციები). მითითებული დოკუმენტის თანახმად, დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების ნაწილია საგანმანათლებლო პროგრამების, პროგრამის განხორციელების, ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის შეფასება და დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლების, აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების) დამოკიდებულებების კვლევა, შეფასების პროცესში კი გამოიყენება ამ მიზნით წინასწარ შემუშავებული უნიფიცირებული ფორმები.

პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების პროცესების მარეგულირებელ დოკუმენტთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი:

- „აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარების და გაუქმების ინსტრუქცია“ - დოკუმენტი, ძირითადად, წარმოადგენს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებიდან სხვადასხვა დროს გადმოტანილი ტექსტების ნაკრებს, რაც, რიგ შემთხვევაში, იწვევს როგორც მოქმედ კანონმდებლობასთან, ისე დოკუმენტში არსებულ ჩანაწერებს შორის ან დოკუმენტის დასახელებასთან გარკვეულ შეუსაბამობებს. მაგ, გვხდება ასეთი ჩანაწერები: 1) „პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პროგრამის ნაწილის გავლის შემთხვევაში, სტუდენტს ენიჭება შუალედური კვალიფიკაცია“ (მ. III, პ.2), „... მოიცავს ტერმინს „შუალედური კვალიფიკაცია“ მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით“ (იხ. გვ.15); 2) მითითებულია „პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაცის დასახელება მოიცავს ... დეტალურ სფეროში არსებული სწავლის სფეროს დასახელებას“ (კვალიფიკაციის მინიჭების წესი; მ. II, პ.1) და ამავდროულად დოკუმენტში არსებობს ჩანაწერი კვალიფიკაციის „სახელწოდება … შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით“ (მ. VI, პ. 3); 3) დოკუმენტი შემუშავებულია „აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების“ მიზნებისათვის და ამავდროულად მოი-ცავს ჩანაწერს: „პროფესიულ განათლებაში კვალიფიკაცია და ასოცირებული ხარისხი ენიჭება ...“. ასევე, დასაკორექტირებელის დოკუმენტის მუხლი (IX. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა), რომლის შესაბამისად უნდა მომხდარიყო პროგრამის კურიკულუმში ინფორმაციის, მათ შორის კვალიფიკაციის დასახელების, მითითება: არსებული ჩანაწერის თანახმად: „ბაკალავრი“-ს/„მაგისტრი“-ს/„დოქტორი“-ს შემთხვევაში კვალიფიკაციის დასახელებაში იყოს მითითებული მიმართულება ან/და დარგი/სპეციალობა. იქვე აღნიშნულია (იხ. გვ. 15), რომ კვალიფიკაციის მითითება ხორციელდება განახლებული (მინისტრის ბრძანება #69, 10.04.2019) „სწავლის სფეროს კლასიფიკატორში გაწერილი მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციების ჩამონათვალის შესაბამისად“, რაც არ შეესაბამება მითითებულ ბრძანებაში გამოყენებულ და დღეისათვის მოქმედ მოთხოვნებს და ტერმინებს. ნაკლებად რელევანტურია, რომ ამ ჩანაწერების მქონე დოკუმენტები იყო გამოყენებული პროგრამის მოდიფიცირების პროცესში და არსებული შეუსაბამობები არ იყო დროულად აღმოჩენილი და აღმოფხვრილი.
- წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტით არ დგინდება რა პერიოდულობით ტარდება შიდა შეფასებები, ტარდება ეს შეფასებების მხოლოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ თუ სხვა სტრუქტურული ერთეულების/პირების მონაწილეობით, ვის მიერ ხდება შედეგების და რეკომენდაციების განხილვა, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება და ა.შ.

აკრედიტაციის მოპოვების მიზნით წარმოდგენილი პროგრამის მოდიფიცირება უზრუნველყო სამუშაო ჯგუფმა, შემდეგი შემადგენლობით: აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელები და სტუდენტური თვითმმართველობის წევრი. ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელმა დეტალურად ისაუბრა პროგრამის მიზნების, შედეგების, პროგრამის შინაარსის და სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე, აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლებმა კი დაადასტურეს პროგრამის მოდიფიცირების პროცესში ჩართულობა და ისაუბრეს როგორც უშუალოდ მათ მიერ შემუშავებულ სასწავლო კურსების სილაბუსებზე (შინაარსი, სწავლების და შეფასების მეთოდები, სასწავლო კურსების სპეციფიკა და სხვ.), ისე დაწესებულებაში მოქმედ შიდა შეფასებების მექანიზმებზე (ძირითადად ასახელებდნენ გამოკითხვებს), სასწავლო პროცესის განხორციელებაზე, მათ შორის დისტანციური ფორმით სწავლების თავისებურებებზე. ინტერვიუში ყველა მონაწილემ (თვითშეფასების ჯგუფი, პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებლები) აღნიშნეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობა და მიღებული ხელშეწყობა. თუმცა, პროგრამის შესწავლის და ინრეტვიუს შედეგებით გამოიკვეთა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ კონტროლისა და პროგრამის პერსონალთან კომუნიკაციის გაძლიერების საჭიროება, განსაკუთრებით ისეთ საკითხებზე, როგორიცაა პროგრამის მიზნების და შედეგების ფორმულირება, მათი გაზომვადობა და სხვ.

ექსპერტებთან შეხვედრებში მონაწილე პირებმა (თვითშფასების ჯგუფის წევრებმა და პროგრამის განმახორციელებლებმა) აღნიშნეს, რომ დასაწყისშივე მოხდა მათ შორის ფუნქციების განაწილება, პერიოდული შეხვედრების ფორმატში მიმდინარეობდა პროგრამისთვის აქტუალური საკითხების განხილვა, პროგრამის კურიკულუმის დანართების შევსება და სხვ. პროგრამის მოდიფიცირების პროცესზე გარკვეულ ინფორმაციას მოიცავს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი აგრარული ფაკულტეტის სოფლის მეურნეობისა და ქიმიის დეპარტამენტის ოქმები (#05, 29.06.2022; #06, 22.07.2022) და აგრარულ მეცნიერებათ ფაკულტეტის სხდომის ოქმი (#09, 02.08.2022; საკითხი #4).

თვითშეფასების ჯგუფის, პროგრამის ხელმძღვანელის და განმახორციელებლების, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების განმარტებით, პროგრამის მოდიფიცირების პროცესში იყო გათვალისწინებული როგორც პროგრამის განხორციელებით უკვე მიღებული გამოცდილება (მაგ., სხვადასხვა გამოკითხვების, აკადემიური მოსწრების შედეგები და სხვ.), ისე შრომის ბაზრის ტენდენციები, დარგში არსებული საჭიროებები, დამსაქმებლების, სტუდენტების და კურსდამთავრებულების მოსაზრებები (რეკომენდაციები ძირითადად ეხებოდა ინგლისური ენის სწავლების და პროგრამის კრატიკული კომპონენტის გაძლიერებას). ასევე, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ 2019 წელს ჩაერთო საერთაშორისო პროქტში (VITAGLOBAL), რომლის ფარგლებში, უცხოეთის უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარების შედეგად განხორციელდა პროგრამის მოდიფიცირება, კერძოდ: პროგრამას დაემატა სასწავლო კურსები „ვენახის ნიადაგის მართვა“, „ბიომევენახეობა“ და „ღვინის ტურიზმი“, დაიხვეწა სასწავლო კურსი „სასმელების მიკრობიოლოგია“ (ეწოდა „ახალი ტენდენციები მიკრობიოლოგიაში“). პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, ასევე პროგრამაში გაძლიერდა პრაქტიკული კომპონტი, რაც დადებითად იყო შეფასებული დარგის სპეციალისტების და პოტენციური დამსაქმებლების მიერ. პროგრამის მოდიფიცირების პროცესში განხორციელდა პროგრამის შიდა შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. ასევე, პროგრამა განსახილველად და შესაფასებლად წარედგინა პოტენციურ დამსაქმებლებს, ინტერვიუში მონაწილეებმა დაადასტურეს აღნიშნული და დადებითად შეაფასეს პროგრამა.

შეჯამების სახით აღსანიშნავია შემდეგი გარემოებები:

- დაწესებულებაში მოქმედი პროგრამების შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი დოკუმენტები საჭიროებს გადახედვას და კორექტირებას, რაც მომავალში გამორიცხავს შეუსაბამო ჩანაწერების არსებობას, ხელს შეუწყობს შეფასების პროცესების დაგეგმვას (მოიაზრება პროგრამის შეფასების გეგმის შედგენა შესაბამისი აქტივობების და მათი ვადების/პერიოდების ან/და პერიოდულობის მითითება) და საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს მოქმედი დოკუმენტების სრულად გამოყენების შესაძლებლობას;
- პროგრამა დადებითად არის შეფასებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, თუმცა გამოიკვეთა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ კონტროლისა და პროგრამის პერსონალთან კომუნიკაციის გაძლიერების საჭიროება, განსაკუთრებით ისეთ საკითხებზე, როგორიცაა პროგრამის მიზნების და შედეგების ფორმულირება, მათი გამომვადობა და სხვ.;
- პროგრამა შემუშავებულია სამუშაო ჯგუფის მიერ, მათ შორის ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების განაწილებისა და ურთიერთთანამშრომლობის გზით.
- პროგრამა დადებითად არის შეფასებული პროგრამის სტუდენტების, კურსდამთავრებულების და პოტენციური დამსაქმებლების მიერ, რომლებმაც დაადასტურეს პროგრამის აქტუალობა და მომავალში პროგრამის განვითარების პროცესში ჩართულობის მზაობა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პოზიცია მისაღებია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარების და გაუქმების ინსტრუქცია“;
- პროგრამის კურიკულუმი და კომპონენტების სილაბუსები;
- პროგრამის დანართები: #1 - სასწავლო გეგმა; #2 - სწავლის შედეგების რუკა; #3 - სწავლის შედეგების შეფასების რუკა; #4 - პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა; #5 - პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები კომპეტენციების მიხედვით;
- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მევენახეობისა და მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებისათვის“;
- 2019-2020 AGS სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი*;*
- 2019-2022 AGS სწავლის შედეგების შეფასების შედარება*;*
- 2020-2021 AGS სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი*;*
- 2021-2022 AGS სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი*;*
- აგრარული ფაკულტეტის სოფლის მეურნეობისა და ქიმიის დეპარტამენტის ოქმები (#05, 29.06.2022; #06, 22.07.2022);
- პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ;
- აგრარულ მეცნიერებათ ფაკულტეტის სხდომის ოქმი #09, 02.08.2022 *(დამატებით წარმოდგენილი)*;
- „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების მექანიზმები“ *(დამატებით წარმოდგენილი)*;
- დისტანციური სწავლების ადმინისტრირების დროებითი ინსტრუქცია *(დამატებით წარმოდგენილი)*;
- სასწავლო კურსის სწავლების პროცესზე დაკვირვების შეფასება *(დამატებით წარმოდგენილი);*
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა *(დამატებით წარმოდგენილი)*;

- 2021 გაზაფხული - დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა *(დამატებით წარმოდგენილი)*;
- 2021 შემოდგომა დისტანციური შუალედური გამოცდის შეფასების კითხვარი სტუდენტთათვის *(დამატებით წარმოდგენილი)*;
- 2021 შეფასების ანგარიში, ადამიანური რესურსები *(დამატებით წარმოდგენილი)*;
- პერსონალის შეფასება 2020 *(დამატებით წარმოდგენილი)*;
- დამსაქმებლის გამოკითხვის ანალიზი *(დამატებით წარმოდგენილი);*
- თესაუს დისტანციური შუალედური გამოცდის შეფასების კითხვარი სტუდენტთათვის *(დამატებით წარმოდგენილი);*
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზი *(დამატებით წარმოდგენილი);*
- პროფესორ-მასწავლებელთა გამოკითხვის ანალიზი *(დამატებით წარმოდგენილი);*
- სტუდენტების გამოკითხვა 2021- 2022 გაზაფხულის სემესტრი *(დამატებით წარმოდგენილი);*
- სტუდენტების გამოკითხვა 2021-2022 შემოდგომის სემესტრული *(დამატებით წარმოდგენილი);*
- სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზი *(დამატებით წარმოდგენილი);*
- პროგრამის გარე შეფასება *(დამატებით წარმოდგენილი)*;
- სასწავლო კურსის სწავლების პროცესზე დაკვირვების შეფასების ანკეტა (ფორმა);
- სასწავლო კურსის სილაბუსის შეფასების ფორმა
- დაწესებულების ვებგვერდზე http://tesau.edu.ge/iuridiuli-cnobari/debulebebi1
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, განხორციელდეს დაწესებულებაში მოქმედი პროგრამების შეფასებისა და განვითარების საკითხების მომწესრიგებელი დოკუმენტების გადახედვა, რაც გულისხმობს შეუსაბამო და ურთიერთგამომრიცხავი ჩანაწერების კორექტირებას, პროგრამის შეფასების გეგმის შედგენას შესაბამისი აქტივობების, მათი ვადების/პერიოდების/პერიოდულობის მითითებით, შეფასების შედეგებზე რეაგირების მექანიზმების მკაფიოდ განსაზღვრას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს პროგრამის პერ-სონალის კონსულტირება განსაკუთრებით ისეთ საკითხებზე, როგორიცაა პროგრამის მიზნების და შედეგების ფორმულირება, მათი გამომვადობა და სხვ.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☐	☒	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგებიდან და თვითშეფასების ანგარიშიდან გამომდინარე, პროგრამის გარე შეფასებაში ჩართულნი იყვნენ როგორც უცხოელი სპეციალისტები (საერთაშორისო პროექტის (VITAGLOBAL) ფარგლებში), ისე პოტენციური დამსაქმებლების წარმომადგენლები და ადგილობრივი დარგის სპეციალისტი. შესაბამისი ინფორმაციის არარსებობის გამო, დაწესებულებას ეთხოვა დამატებითი ინფორმაციის წარდგენა. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტით დგინდება, რომ განხორციელდა პროგრამის გარე შეფასება ადგილობრივი (დაწესებულებასთან არააფილირებული) დარგის სპეციალისტის მიერ, რომლის დასკვნაში მითითებულია როგორც პროგრამის ძლიერი მხარეები და შესაძლებლობები, ისე სუსტი მხარეები და საფრთხეები. გარე შეფასება განხორციელდა პროგრამის დამტკიცების (02.08.2022) შემდგომ პერიოდში (12.09.2022), რაც გამორიცხავს პროგრამის მოდიფიცირების პროცესში ამ შეფასების და რეკომენდაციების გათვალისწინებას, მაგრამ ქმნის მომავალში პროგრამის განვითარების მიზნით მათ გამოყენების შესაძლებლობას.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, გარე შეფასების მიზნით პროგრამა განსახილველად წარედგინა პოტენციურ დამსაქმებლებს, რომლებმაც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ეტაპობრივად იყვნენ ჩართულნი პროგრამის მოდიფიცირების პროცესში, მათ გადაეცათ მთლიანად პროგრამა და ჰქონდათ მისი დეტალურად შესწავლის შესაძლებლობა. დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ გათვალისწინებულია მათი რჩევები პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის (პრაქტიკის) და ინგლისური ენის სწავლების გაძლიერების შესახებ. დამსაქმებელთა აზრით, პროგრამა არის მნიშვნელოვანი რეგიონისთვის და აქვს აქტუალური შინაარსი, რაც წარმოადგენს მათ მიერ პროგრამის დადებითი შეფასების საფუძველს. აქვე დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ იქნება სასარგებლო პროგრამის შემდგომი განვითარება, რაც არ ნიშნავს იმას, რომ არსებული პროგრამა არ პასუხობს დღევანდელ საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის გარე შეფასება *(დამატებით წარმოდგენილი)*;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია დარგის ექსპერტების მიერ პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს პროგრამის მოდიფიცირების დასრულებამდე (საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე), რაც უზრუნველყოფს მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამაში ცვლილებების დროულად ასახვას.
- სასურველია გაიზარდოს გარე შემფასებელთა რიცხვი, რაც უზრუნველყოფს შეფასების შედეგების ვაიდურობას.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის განხორციელების შეფასებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს განსაზღვრავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული (16.06.2022) დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მევენახეობისა და მეღვინეობის სამსაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებისათვის“, რომელიც გულისხმობს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების განსაზღვრის ადეკვატურობის და პროგრამის დაძლევის შესაძლებლობის დადგენას, სასწავლო და კვლევითი კომპონენტების დაძლევადობის შეფასებას სხვადასხვა მექანიზმების გამოყენებით. ამავე დოკუმენტით განისაზღვრება შესრულების ეტაპები, კერძოდ: 1) პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის შეფასება; 2) სემესტრული ანალიზი სწავლის შედეგების მიღწევადობის შესახებ, 3) კვლევითი კომპონენტის პროცესის შეფასება სემესტრულად/წლიურად. მითითბული დოკუმენტი ახალია და ვიზიტის მომენტისთვის ვერ მოხდებოდა მისი იმპლემენტაცია და გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა.

ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტის „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების მექანიზმები“ (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, ოქმი #5, 14.03.2018) თანახმად, პროგრამის შეფასებისას ყურადღება ექცევა ისეთ ასპექტებს, როგორიცაა, მაგ., სწავლის შედეგების და მიზნების ურთიერთშესაბამისობა, გამოყენებული სწავლების მეთოდების მეშვეობით დაგეგმილი მიზნების მიღწევის შესაძლებლობა, შეფასების მეთოდების რელევანტურობა და სხვ. ამ დოკუმენტის თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ითვალისწინებს PDCA ციკლს (აღწერილია ზემოთ მითითებულ დოკუმენტში), შეფასების პროცესში იყენებს წინასწარ შემუშავებულ ფორმებს (მითითებული დოკუმენტის დანართები) და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად მიზანშეწონილად მიიჩნევს შემდეგი რაოდენობრივი და თვისობრივი ინდიკატორების გამოყენებას:

- თვითშეფასება - უნივერსიტეტი ყოველწლიურად ამზადებს თვითშეფასების ანგარიშს და „წარუდგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (გარე შეფასება)“ - აღსანიშნავია, რომ ჩანაწერი საჭიროებს კორექტირებას, რადგან უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში არ ხდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშების წარდგენა. შესაბამისად, გარე შეფასების მიზნით ეს მექანიზმი გამოყენებული ვერ იქნება;
- კომპეტენციები - დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების შესაბამისობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან. - აღსანიშნავია, რომ ეს მექანიზმი ვერ იქნება გამოყენებული

პროგრამის სისტემატური შეფასების მიზნით, რადგან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობა უნდა დადასტურდეს ახალი პროგრამის შემუშავების/არსებული პროგრამის მოდიფიცირების ეტაპზე, როდესაც ხდება შედეგების ჩამოყალიბება/შეცვლა პროგრამაში არსებითი ცვლილებების განხორციელების შედეგად.

- გამოკითხვების ანალიზი - პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვების შედეგები;
- დამსაქმებელთა გამოკითხვა პროგრამის შემუშავების პროცესში და განხორციელების შეფასება შემდგომ ეტაპზე;
- პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვების შედეგები;
- პროგრამის სტუდენტების გამოკითხვების შედეგები;
- პროგრამის სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი;
- პროგრამის სტუდენტების სხვა პროგრამაზე გადასვლის მაჩვენებელი;
- პროგრამაზე სწავლის მსურველთა რეგისტრირებული განაცხადების რაოდენობა;
- სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი;
- პროგრამის კურსდამთავრებულთა საჭიალო ქულა/GPA;
- სახელმწიფო გრამტის მქონე სტუდენტთა რაოდენობა;
- სწავლების შემდგომ საფეხურზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა;
- პროგრამის სტუდენტების სპეციალობით და/ან არასპეციალობით დასაქმების მაჩვენებელი.

წარმოდგენილი ინფორმაციის სიმწირის გამო, გამოყენებული მექანიზმების შესწავლის მიზნით დაწესებულებას ეთხოვა დამატებით ინფორმაციის წარდგენა. დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშის თანდართული და დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, განხორციელებულ აქტივობებს მიეკუთვნება:

<u>1) პროგრამის მიზნებისთვის ჩატარებული კვლევები და ანგარიშები:</u>

- პროგრამის შიდა შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ (02.08.2022);
- პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი (2019-2020, 2020-2021, 2021-2022 და შემაჯამებელი 2019-2022);
- სასწავლო კურსის სწავლების პროცესზე დაკვირვების შეფასება (ვიზიტის დროს წარდგენილი - დაწესებულებას ეთხოვა რამდენიმე შევსებული ანტეტების წარდგენა, რაც მოხდა ვიზიტის პერიოდში);
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზი (ვიზიტის დროს წარდგენილი) - გამოკითხვა ჩატარდა 2021-2022 აკადემიური წლის ივნისში, მონაწილეობდა 6 რესპოდენტი. შესწავლის საგანი იყო შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობისთვის მნიშვნელოვანი კომპეტენციები. გამოკითხულთა 100%-მა აღნიშნა, რომ ეს არის: სფეროს ფართო ცოდნა, რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემის გადაჭრის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სფეროსთვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვენის, განმარტების და ანალიზის უნარი, საკუთარი საქმიანობის კრეატიული მიდგომით განხორციელება. ასევე, ეს არის კომპლექსურ არაპროგნოზირებად გარემოში საქმიანობის ეფექტიანად წარმართვა (83.3%). ასევე, გამოკითხვის ფარგლებში განხორციელდა პროგრამის სასწავლო კურსების მნიშვნელობის შეფასება (უმეტესობამ აღნიშნა, რომ ეს არის პრაქტიკა) და სხვ.
- მევენახეობისა და მეღვინეობის პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზი (ვიზიტის დროს წარდგენილი) - ჩატარდა 2021-2022 აკადემიური წლის ივნისში, მონაწილეობდა 9 რესპოდენტი (5 - სწავლების პირველი წლის სტუდენტი, 4 - სწავლების მეორე წლის სტუდენტი). გამოკითხვის მიზანი იყო პროგრამით სტუდენტთა კმაყოფილების შესწავლა, პროგრამის და მისი განხორციელების შეფასება - გამოკითხულთა უმეტესობა დადებითად

აფასებს პროგრამას, განმახორციელებელ პერსონალს, ინფრასტრუქტურას, სავლების მეთოდებს, სხვ.), გამოკითხულთა 100% კი აღნიშნავს, რომ მათი აზრით: ა) ხარისხის უზრუნველყოფა ნიშნავს ხარისხიან განათლებას, ბ) შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე; გ) პროგრამის განმახორციელბლებთან მოსახერხებელია ონლაინ-კომუნიკაცია.

- პროფესორ-მასწავლებელთა გამოკითხვის ანალიზი (ვიზიტის დროს წარდგენილი) - ჩატარდა 2021-2022 აკადემიური წლის ივნისში. მონაწილეობდა 13 რესპოდენტი. დასმული იყო შემდეგი კითხვები: რა საშუალებები ეხმარება სასწავლო პროცესი სტუდენტებს პროფესიის დაუფლებაში, მისაღწები კომპეტენციების შესახებ სტუდენტების ინფორმირება, პროგრამის სტრუქტურის აგების შეფასება, დატვირთვის ადეკვატურობა და სხვ.
- შრომის ბაზარზე პროგრამის კურსდამთავრებულებზე არსებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით სტუდენტთა კარიერული ზრდისა და განვითარების ცენტრის უფროსის სამსახურებრივი ბარათი - მოიცავს ინფორმაციას 05.07.2022 თარიღისთვის დარგობრივ კომპანიებში პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ, რომლის თანახმად „უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში მევენახეობისა და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა 90% დასაქმებულია ხოლო სპეციალობით დასაქმებულია 85%-ზე მეტი, რაც საუკეთესო მაჩვენებელია უნივერსიტეტის მასშტაბით.“
- დამსაქმებლის გამოკითხვის ანალიზი (ვიზიტის დროს წარდგენილი) - გამოკითხვა ჩატარდა უშუალოდ პროგრამის მიზნებისთვის, 2021-2022 აკადემიური წლის ივნისში. მონაწილეობდა 6 რესპოდენტი. შესწავლის საგანი იყო: აქვს თუ არა კომპანიას პროგრამის კურსდამთავრებულებზე მოთხოვნა (100%-მა გასცა დადებითი პასუხი), რა არის დამსაქმებლისთვის აქტუალური კომპეტენციები (მიჩნეულია, რომ ეს არის გარემოსთან სწრაფი ადაპტირების უნარი, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, სიტუაციის გათვალისწინების და სწრაფი რეაგირების უნარი, პრაქტიკულად სწავლის უნარი, სფეროსადმი დაინტერესება და სხვ.);
- დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი - დოკუმენტში თარიღის არარსებობის გამო არ დგინდება როდის ჩატარდა კვლევა და რა მოთხოვნები აქვთ დამსაქმებლებს: მითითებულია რესპოდენტებთან დასქმებული კურსდამთავრებულების რაოდენობა და ის გარემოება, რომ ისინი მევენახეობის მიმართულებითაც აქტიურად ასაქმებენ დაწესებულების კურსდამთავრებულებს. კვლევის თარიღის არარსებობის გამო არ დგინდება არის თუ არა კვლავ აქტუალური მითითებული ინფორმაცია: „ამ ეტაპზე დამსაქმებელთა მხრიდან კვლავ არის აღნიშნულ კადრზე მოთხოვნა. მაგალითად: შემოთავაზებულია მოთხოვნა „ჰაი-ტექთანამედროვე ღვინის ლაბორატორიისათვის“ 2 კურსდამთავრებული და შპს „ქინძმარაული“ - 3 კურსდამთავრებული“.

<u>2) საუნივერსიტეტო კვლევები და ანგარიშები:</u>

- ადამისნური რესურსების შეფასება: 1) 2020 წელი (05.11.2020-05.12.2020; რესპოდენტთა რაოდენობა (% საერთო რაოდენობაში): ადმინისტრაციული -42.2 %, დამხმარე-57.8 %; აკადემიური პერსონალი: 87%); 2) 2021 წელი (08.12.2021 - 22.12.2021; რესპოდენტთა რაოდენობა (% საერთო რაოდენობაში): ადმინისტრაციული პერსონალი - 64.3%, დამხმარე პერსონალი - 35.7%; აკადემიური პერსონალის 93 %-მა). ორივე შეფასების შემთხვევაში შესწავლის საგანი დასაქმებულებისთვის სხვადასხვა აქტუალური გარემოებები, მაგ., სამუშაო გარემო, პირობები და განრიგი, დაწესებულებაში არსებული საინფორმაციო ტექნოლოგიების, ელექტრონული ფოსტის, ინტერნეტის და კომუნიკაციის სხვა საშუალებების ხელმისაწვდომობა და სხვ.

- შრომის ბაზრის კვლევის ანალიზი - კვლევის მიზანი იყო დაწესებულების კურსდამთავრებულთა დასაქმების შესწავლა, მათი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მიმართებაში. ასევე, დოკუმენტის შემადგენელი ნაწილია „იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორთა შეხედულების კვლევა სტუდენტთა კარიერული ხედვებისა და საჭიროებებების შესახებ". დოკუმენტი დათარიღებული არ არის, თუმცა მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ ეს არის 2018-2022 პერიოდი. დოკუმენტიდან, ასევე, დგინდება, რომ კვლევა მოიაზრებდა ზოგადად დაწესებულების კურსდამთავრებულთა კომპეტენციებით კმაყოფილების შესწავლას - „სწავლის დასრულების შემდეგ, დასაქმებულ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა კერძო სექტორში მუშაობს, ხოლო შედარებით მცირე რაოდენობა - საჯარო სექტორში. კურს-დამთავრებულთა უმრავლესობა შემდეგი მიმართულებითაა დასაქმებული: ✓ მთავარი მეღვინე; ✓ ღვინის საწარმოს ხელმძღვანელი; ✓ მთავარი მეღვინის თანაშემწე; ✓ ლაბორატორიის თანამშრომელი ღვინის საწარმოში ; ✓ მევენახე კომპანიაში; ✓ მასწავლებელი (კვალიფიკაციის მიხედვით); ✓ IT სპეციალისტი; ✓ გაყიდვების კონსულტანტი (სხვადასხვა სფერო); ✓ ღვინის ტექნოლოგი; ✓ ტუროპერატორი". რადგან კვლევა წარიმართა ზოგადად დაწესებულების კურსდამთავრებულთა კომპეტენციებით კმაყოფილებისა და საუნივერსიტეტო კურიკულუმების შეფასების ჭრილში, შესაბამისად, გაცემული რეკომენდაციებიც არის ზოგადი და განსხვავებული სპეციფიკის პროგრამისთვის მეტ-ნაკლებად აქტუალური.
- დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა 2020-2021 - გამოკითხვაში მონაწილეობა სხვადასხვა პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი (70 რესპოდენტი). გამოკითხვა ეხებოდა სხვადასხვა აქტუალურ საკითხებს, მაგ., რამდენად ეფექტურია ელექტრონულ სწავლებაზეგადასვლასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობები, დისტანციური სწავლების რეჟიმში მეთოდების და მიდგომების შეფასება, არსებული პრობლემების იდენტიფიცირება, ინდივიდუალური დახმარების საჭიროების განსაზღვრა და სხვ. ამავდროულად, რადგან კვლევა წარიმართა ზოგადად დაწესებულების სხვადასხვა პროგრამების განმახორციელების დამოკიდებულებების შესწავლის მიზნით, შესაბამისად, გაცემული რეკომენდაციებიც არის ზოგადი და განსხვავებული სპეციფიკის პროგრამისთვის მეტ-ნაკლებად აქტუალური.
- დისტანციური შუალედური გამოცდის შეფასების კითხვარი სტუდენტთათვის - გამოკითხვა ჩატარდა 2021 წელს შემოდგომის სემესტრში (114 რესპოდენტი) და 2022 წელს გაზაფხულის სემესტრში (514 რესპოდენტი). გამოკითხვაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ფაკულტეტების (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, აგრარულ მეცნიერებათა, განათლების მეცნიერებათა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის) და პროგრამების (ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; დოქტორანტურა; მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა; მასწავლებლი მომზადების 300 კრედიტიანი პროგრამა) სტუდენტები - გამოკითხვა ეხებოდა სხვადასხვა აქტუალურ საკითხებს, მაგ., შუალედური გამოცდის ორგანიზება, ლექტორების და საგამოცდო ცენტრის თანამშრომლების მუშაობის შეფასება საგამოცდო სესიის დროს, პრობლემების იდენტიფიცირება, გამოცდის მეთოდებისა და ფორმების შეფასება და სხვ. ამავდროულად, რადგან კვლევა წარიმართა ზოგადად დაწესებულების სხვადასხვა პროგრამების განმახორციელების დამოკიდებულებების შესწავლის მიზნით, შესაბამისად, გაცემული რეკომენდაციებიც არის ზოგადი და განსხვავებული სპეციფიკის პროგრამისთვის მეტ-ნაკლებად აქტუალური.

- სტუდენტების გამოკითხვა: 1) 2021- 2022 გაზაფხულის სემესტრი (104 რესპოდენტი), 2) 2021-2022 შემოდგომის სემესტრი (107 რესპოდენტი). ორივე გამოკითხვაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ფაკულტეტების (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, აგრარულ მეცნიერებათა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესის და სამართლის, განათლების მეცნიერებათა) სტუდენტები. გამოკითხვა მიზნად ისახავდა დაწესებულებაში სწავლებით (განათლების შინაარსი, ხარისხი, სასწავლო პროცესი, ლექტორები, ადმინისტრაცია, გარემო, მომსახურება, ინფორმირება, სხვ.) სტუდენტთა კმაყოფილების შესწავლას.

იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედ დოკუმენტებში არ არის განსაზღვრული შეფასებების ჩატრების პერიოდულობა, ეს კითხვა დაისვა ინტერვიუს დროს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ სტუდენტთა გამოკითხვები და აკადემიური მოსწრების შესწავლა ტარდება სემესტრულად, რაც ასევე დაადასტურეს შეხვედრებში მონაწილე სხვა პირებმა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს, ასევე, დაისვა კითხვა ისეთ მექანიზმთან დაკავშირებით, როგორიცაა პროგრამის დაძლევის შესწავლა-შეფასება - სწავლის შედეგებისთვის სამიზნე ნიშნულების დადგენის და მათთან დადარების შედეგების გამოყენება. ხარისხის უზრუნველყოფი სამსახურის წარმომადგენლების განმარტებით, დადგენილი სამიზნე ნიშნული წარმოადგენს სწავლის შედეგის ფორმირებაში განმტკიცების დონეზე მონაწილე პროგრამის კომპონენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებლების საშუალოარითმეტიკულ სიდიდეს, მათი შესწავლა და რეაგირება ხდება სისტემატურად (თვითშეფასების ანგარიშში მითითებულის თანახმად: „სასწავლო კურსების მიღწევადობის მონიტორინგი... ითვალისწინებს თითოეულ კურსში მიღებული შეფასებების ანალიზს და მათ დადარებას სამიზნე ნიშნულებთან“, კურიკულუმში მითითებულია: „15%-იანი გადახრის 20%-ზე მეტის შემთხვევაში უნდა მოხდეს კურსების, სასწავლო მასალის, შეფასების მექანიზმის და ა.შ. სხვა საჭირო ინსტრუმენტების გადახედვა“). თუმცა, აქვე, აღსანიშნავია შემდეგი გარემოებები: დადგენილი სამიზნე ნიშნულებია „სტუდენტების საერთო რაოდენობის 60% მიიღებს კონკრეტული შედეგის მაქსიმალური შეფასების 71%-ს და მეტს. A - 20%-ს; B - 30%-ს, C - 10%-ს“ (იხ. პროგრამის კურიკულუმის დანართი #5, გვ. 9-11) არის ბოლო 4 წლის განმავლობაში რეალურად მიღებული შედეგებზე ნაკლები (იხ. დანართი #1 „ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების შესახებ“. დაგეგმილი სამიზნე ნიშნულების კორექტირების საჭიროებას, ასევე, ადასტურებს თვითშეფასების ანგარიშის დანართებში (2019-2020 /2020-2021 / 2021-2022 AGS სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი) მოცემული რაოდენობრივი მაჩვენებლები.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ გარდა ზემოთ მითითებულისა, განხორციელდა საქართველოს და უცხოეთის უსდ-ების პროგრამებთან დადარება. წარმოდგენილ პროგრამის კურიკულუმში მითითებულია, რომ „პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია ... საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკა (საერთაშორისო უნივერსიტეტების მსგავსი პროგრამების გამოცდილება)“, კერძოდ: „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი https://ciu.edu.ge/; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი https://gtu.ge/; სამხრეთ ავსტრალია https://www.adelaide.edu.au/; გაერთიანებული სამეფო https://www.rau.ac.uk/; იერუსალიმი https://en.huji.ac.il/en; Universitacatolica del SacroCuoredi Piacenza, Italy:Viticulture and enology; www.ucscinternational.it; პოჟეგას პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, ხორვატია https://www.vup.hr. მეტი სიცხადისთვის დაწესებულებას ეთხოვა შესაბამისი ინფორმაციის დამატებით წარდგენა, რაც ვიზიტის პერიოდში ექსპერტებს არ მიეწოდათ. პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ დადარების შედეგად პროგრამაში გაძლიერდა პრაქტიკის კომპონენტი, საუკეთესო პრაქტიკა კი იყო შესწავლილი VITAGLOBAL” საერთაშორისო პროქტის ფარგლებში.

შეჯამების სახით აღსანიშნავია შემდეგი გარემოებები:

- ინფორმაციის არარსებობის გამო ვერ დაგინდა: ა) რა პერიოდულად და რა მექანიზმების გამოყენებით უნდა ყოფილიყო ჩატარებული პროგრამის შეფასება, რაც წარმოადგენს წინამდებარე სტანდარტის 5.1. კომპონენტის რეკომენდაციის საფუძველს; ბ) ვერ დგინდება ანალოგ პროგრამებთან პერიოდულად ან თუნდაც ბოლო პერიოდში დადარების შედეგების გამოყენება;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და ინტერვიუს შედეგებიდან დგინდება, რომ საკმაოდ ინტენსიურად ხდებოდა შეფასების სხვადასხვა მექანიზმების გამოყენება, კერძოდ: 2020-2022 წლებში გარკვეული პერიოდულობით მიმდინარეობდა სხვადასხვა გამოკითხვები და შეფასებები (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი). ასევე, 2019-2022 პერიოდში ყოველწლიურად ტარდებოდა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესწავლა და ანალიზი, იძლევა სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის შესაძლებლობას;
- მნიშვნელოვანია ინტენსიური კომუნიკაცია დამსაქმებლებთან, რომლებმაც ასევე დაადასტურეს პროგრამის გუნდთან შემდგომი თანამშრომლობის და პროგრამის განვითარების პროცესში ჩართულობის მზაობა.
- მნიშვნელობან გარემოებას წარმოადგენს საერთაშორისო პროექტში „VITAGLOBAL" ჩართულობა, რაც ქმნის პროგრამის შემდგომი განვითარების შესაძლებლობას.

პოზიცია გაზიარებულია იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო პროექტის (VITAGLOBAL) ფარგლებში იქნება შესაძლებელი პროგრამის განვითარება უცხოეთის უნივერსიტე-ტე¬ბის გამოცდილების გაზიარების გზით. შესაბამისად, დასკვნის პროექტში არსებული რეკომენდაცია გადავიდა რჩევებში, ასევე შეიცვალა 5.3. კომპონენტის შეფასება - გახდა „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი;
- თვითშეფასების ანგარიშის დანართი #1 „ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების შესახებ";
- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მევენახეობისა და მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებისათვის";
- „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების მექანიზმები" *(დამატებით წარმოდგენილი)*;
- პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ;
- AGS სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი - 2019-2020; 2019-2022; 2020-2021; 2021-2022*;*
- სასწავლო კურსის სწავლების პროცესზე დაკვირვების შეფასება *(დამატებით წარმოდგენილი);*
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა *(დამატებით წარმოდგენილი)*;
- 2021 გაზაფხული - დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა *(დამატებით წარმოდგენილი)*;
- 2021 შემოდგომა დისტანციური შუალედური გამოცდის შეფასების კითხვარი სტუდენტთათვის *(დამატებით წარმოდგენილი)*;
- 2021 შეფასების ანგარიში, ადამიანური რესურსები *(დამატებით წარმოდგენილი)*;
- პერსონალის შეფასება 2020 *(დამატებით წარმოდგენილი)*;
- დამსაქმებლის გამოკითხვის ანალიზი *(დამატებით წარმოდგენილი);*
- თესაუს დისტანციური შუალედური გამოცდის შეფასების კითხვარი სტუდენტთათვის *(დამატებით წარმოდგენილი);*
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზი *(დამატებით წარმოდგენილი);*

- პროფესორ-მასწავლებელთა გამოკითხვის ანალიზი *(დამატებით წარმოდგენილი);*
- სტუდენტების გამოკითხვა 2021- 2022 გაზაფხულის სემესტრი *(დამატებით წარმოდგენილი);*
- სტუდენტების გამოკითხვა 2021-2022 შემოდგომის სემესტრული *(დამატებით წარმოდგენილი);*
- სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზი *(დამატებით წარმოდგენილი);*
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- **დაწესებულებამ უპასუხა**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია გაუქმდეს დოკუმენტში „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების მექანიზმები“ დღეისათვის არარელევანტური ჩანაწერი: „უნივერსიტეტი ყოველწლიურად ამზადებს თვითშეფასების ანგარიშს და წარუდგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (გარე შეფასება)“.
- მიზანშეწონილია, უკვე მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე, გადაიხედოს სამიზნე ნიშნულების რიცხობრივი მაჩვენებლები.
- მიზანშეწონილია, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით პერიოდულად მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან. დადარების შედეგები უნდა იყოს ფორმალიზებული და იძლეოდეს ინფორმაციას პროგრამის განვითარებისთვის გაზიარებული მიდგომების შესახებ.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში): არ ერთვის

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: „მევენახეობა და მეღვინეობა“ მაგისტრატურა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	☒	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☐	☒	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: გიორგი ჯაფოშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სახელი, გვარი, ხელმოწერა: მარიამ ხომასურიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა: თამარ გვიანიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა: გიორგი არქანია